ლელო
№ 86
(11 338)
5 – 8 ნოემბერი, 1999 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურნირის ნამდვილი გმირი იყო გერმანელი ოლივერ კანი. იხ. მე–5 გვ.

ღია წერილი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

დიახ, თქვენ ვალდებული ხართ დაიცვათ საორგსმენთა უფლებები

ბატონებო!

ჯერ რომ გამონაკლისი და გაუგებრობა გვეგონა, ტრადიციად იქცა და სისტემად დამკვიდრდა. ქართული სპორტისა და ჩვენი სპორტსმენებისადმი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სიძულვილნარევ დამოკიდებულებაზე მოგახსენებთ. სამაგალითო დემოკრატიული ქვეყნის წარმომადგენლები, ჩვენში, კერძოდ, სპორტსმენებზე სცდიან თუ რა შედეგს გამოიღებს დემოკრატიის თვითნებური შეზღუდვა განვითარებად ქვეყანაში. არა გვგონია, თქვენთვის ცნობილი არ იყოს, როგორ ზღვარდაუდებელ ცინიზმს ავლენენ ზემოხსენებული ქვეყნის საელჩოს თანამშრომლები, როცა მათ ჩვენი სპორტსმენები თუ ცალკეული გუნდები უცხოეთში გამგზავრების ვიზების მისაღებად აკითხავენ. აბუჩად აგდების, გამგზავრების ჩაშლის, უსაფუძვლოდ შარის მოდების ფაქტები უამრავია და მათ შესახებ, ალბათ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

მოგმართავთ თხოვნით, სასწრაფოდ ჩაერიოთ საქმეში, რათა აღიკვეთოს ამერიკის საელჩოს მხრიდან თვითნებობა და საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლების ფეხქვეშ გათელვის ყოვლად აღმაშფოთებელი ფაქტები. ნუთუ ასე ძნელია, თქვენი სამინისტროს მეშვეობით შემუშავდეს აშშ-ის საელჩოდან ვიზების აღების ცივილიზებული სისტემა სპორტსმენებისთვის და ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს ეს საკითხი? ჩვენ მოგმართავთ იმ სპორტსმენების სახელით, რომლებსაც აშშ-ის საელჩომ, ყველაფერთან ერთად, შეულახა ეროვნული თავმოყვარეობა, აბუჩად აიგდო ადამიანთა საყოველთაო უფლებები.

იმედია, საქმეს უფრო მეტად გამწვავებამდე არ მიიყვანთ.

„ლელოს“ მიმომხილველი

იოჰანსონი – მოსკოვში, ეპლე – თბილისში

ერიხ ეპლე

როგორც ცნობილია, ახლახან მოსკოვს უეფას პრეზიდენტი ლენარტ იოჰანსონი ეწვია და ელცინმა იგი „მეგობრობის ორდენით“ დააჯილდოვა. როგორც ამბობენ, ეს ჟესტი რუსეთისათვის ფეხბურთში ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის მხარდასაჭერად გაკეთდა. აი, უეფაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების შეფი ერიხ ეპლე კი კონკრეტული მიზნით ეწვია ამ დღეებში საქართველოს. იგი შეხვდა ჩვენი ფეხბურთის მესვეურებს, ისაუბრეს მომავლის გეგმებზე, გაიხსენეს ადრინდელი დანაპირები, იმსჯელეს, რა შესრულდა და რა არა, შეაფასეს ის, რაც გაკეთდა. სტუმარმა დაათვალიერა საფეხბურთო მოედნები. როგორც ცნობილია, უეფამ 1 მილიონი დოლარი დახმარება უნდა გამოუყოს სფფ-ს მიზნობრივად, რომელიც ფედერაციის ნაგებობის რემონტსაც ითვალისწინებს შ. იამანიძის ქუჩაზე. რემონტი კი იმდენად ძვირი ჯდება, სტუმარი გაოცებულა და უთქვამს, ამდენ ფულს შენობის სარემონტოდ ნამდვილად ვერ გამოვყოფთო.

ამასთან, დღის წესრიგში დგას ვერის ბაღში ფედერაციის ახალი შენობის აგება, რაც, როგორც სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია აცხადებს, რეალურია. ეს ადგილი უეფადან ჩამოსულ სტუმარსაც აჩვენეს. ეპლე ახალი შენობის აგებაში სფფ-ს დახმარებას დაჰპირდა უეფას სახელით.

სააგენტო „გუმათი“

ამასაც მოვესწარით!

ახლა ბილიარდს რობოტიც თამაშობს! ამ სიახლის დემონსტრირება ამას წინათ, გერმანიაში მოხდა

მკლავჭიდი პროფესიონალთა მსოფლიო ჩემპიონატი

ამერიკელები და ქართველები – ყველაზე ღონიერები ჩვენს პლანეტაზე

კალიფორნიის შტატის ქ. პეტალუმაში, იქ, სადაც ჩაისახა მკლავჭიდი და ათვლა დაიწყო სპორტის ამ სახეობაში პროფესიონალთა მსოფლიო ჩემპიონატმა, წლეულს 39-ედ შეიკრიბნენ მსოფლიოს უძლიერესი მკლავჭიდელები, მათ შორის საქართველოდან...

საერთოდ, ჩვენი მკლავჭიდელები, პროფესიონალთა მსოფლიოს ჩემპიონატებში მეოთხედ მონაწილეობდნენ, მეოთხედ ეწვივნენ მკლავჭიდის მექას — პეტალუმას (ჩემპიონატები მხოლოდ ამ ქალაქში ტარდება). ამჯერად ჩვენი გუნდი ადრინდელთან შედარებით მინიმალურად მცირერიცხოვანი იყო — სულ მხოლოდ ორი მკლავჭიდელი გაემგზავრა საასპარეზოდ — დავით შელიძე (100 კგ) და ვახტანგ ჯავახაძე (+100). თითო ოქროს და თითო ვერცხლის მედალი — ასეთია მათი შედეგები. შელიძემ პირველობა მოიპოვა მარჯვენა ხელით ასპარეზობაში, მარცხენათი კი მეორე იყო. ჯავახაძემ ასევე მარჯვენათი შერკინებაში დაიმსახურა ოქროს მედალი, ვერცხლი კი მემარცხენეთა შორის ხვდა. თითოეულმა ჩვენმა მკლავჭიდელმა პირველობისთვის ბრძოლაში 15-16 ორთაბრძოლა ჩაატარა, რომელთა მოგება, ცხადია, ადვილი არ იყო ასე შორეული და მომქანცველი მგზავრობის შემდეგ.

— ეს ჩემპიონატი პრესტიჟით ნბა-ს ჩემპიონატს უტოლდება. აქ წარმატების მიღწევა ძალიან ძნელია, მაგრამ თუ მიაღწევ, ძვირად ფასობს, ავტორიტეტულია. ზოგიერთი მძიმეწონოსანი, მათ შორის ამერიკელი ჯონ ბზენკი არ გამოცხადდა შეჯიბრებაზე, რადგან მან და სხვებმაც კარგად იცოდნენ, რომ ჩვენები ჩადიოდნენ, შერცხვენა კი არ უნდოდათ — გვითხრა ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა და ფედერაციის პრეზიდენტმა ვახტანგ მუსელიანმა, რომელიც ჩვენს ბიჭებს ახლდა ჩემპიონატზე. ქართველებმა გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავეს, პირველი იყო აშშ-I, მეორე — აშშ-II. ასე რომ, მასპინძლების შემდეგ მიუხედავად ორი მონაწილისა (დანარჩენების ვიზები ვერ გააფორმეს), გუნდური წარმატება ჩვენ გვხვდა.

როცა დაფინანსებაზე ჩამოვაგდეთ საუბარი, ვახტანგმა გვითხრა: „სხვა გზა რომ აღარ იყო, მოქალაქეთა კავშირს მივადექით, მადლობა მათ, მადლობა პირადად მიხეილ მაჭავარიანს და ჯემალ სვანიძეს თანადგომისათვის. არჩევნების წინ ხმამაღლა ვერ გამოვთქვით მადლობა, ახლა კი ეს შეიძლება. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მათ“.

დავით შელიძე

ვახტანგ ჯავახაძე

ერიხ რიბეკი: კრიზისი გერმანული ფეხბურთისთვის უცხო რამ არის...

რა სჭირს გერმანულ ფეხბურთს? რითია გამოწვეული ევროპის და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონების ბოლოდროინდელი არაშთამბეჭდავი გამოსვლები? რატომ იასპარეზა ასე უსუსურად მათმა ეროვნულმა გუნდმა კონფედერაციის თასზე წლეულს ზაფხულში? ყველაფერ ამაზე დღეს ბევრს ლაპარაკობენ, ზოგიც გერმანიას აღარ მიიჩნევს საფეხბურთო მონსტრად. თუმცა კი ჩავარდნასა და კრიზისს შორის ალბათ მაინც საკმაო განსხვავებაა. დაახლოებით ამ აზრისაა ეროვნული გუნდის თავკაცი ერიხ რიბეკი, რომლის ექსკლუზიური ინტერვიუ "FIFA MAGAZINE"-ს ბოლო ნომერში გამოქვეყნდა.

ერიხ რიბეკი

დაბადების თარიღი: *13 ივნისი, 1937 წელი*

ფეხბურთელის კარიერა: *გამოდიოდა „ვუპერტალში“ და კიოლნის „ვიქტორიაში“.*

მწვრთნელის კარიერა:

1967-68 — „როტ ვაისი“ (ესენი)
1968-73 — „აინტრახტი“ (ფრანკფურტი)
1973-78 — „კაიზერსლაუტერნი“
1978-84 — გფრ-ს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის (იუპ დერვალი) თანაშემწე.
1984-85 — „ლევერკუზენი“.
1988-89 — „ჰამბურგი“ (ახალგაზრდული გუნდი)
1992-93 — „ბაიერნი“
1995-96 — „ლევერკუზენი“
1998 წლის სექტემბრის ბოლოდან გერმანიის ეროვნული გუნდის მწვრთნელი.

● ***ამ ცოტა ხნის წინათ, თქვენ ერთ საბენეფისო მატჩში მიიღეთ მონაწილეობა. კვლავინდებურად ბევრს თამაშობთ?***

— არა, არც თუ ისე ხშირად. დროის ფაქტორის გამო არ შემიძლია რეგულარულად ვითამაშო. როცა ეროვნულ გუნდს ვავარჯიშებ, მაშინ ჩავერთვები ხოლმე თამაშში, თავს ვირთობ გოლფით და გოლფის რაუნდის შემდეგ ხშირად ჯოგინგს (ძუნძულით სირბილი — დ.თ.) მივმართავ, რათა ოფლი კარგად მოვიდინო.

● ***მაგრამ თქვენ ჯერ კიდევ მშვენივრად ერთობით, როცა ფეხბურთის თამაშის შანსი გაგიჩნდება, არა?***

— რა თქმა უნდა. თანაც მიუხედავად იმისა, რომ მე არასდროს ვთვლი-

იხ. მე–4 გვ.

სპორტული ოჯახები

ძმების გაგაცება სიმძიმეებთან ჭიდილი იყო

1878 წელს რაჭიდან, რამდენიმე ოჯახი გადავიდა მამისონის უღელტეხილით და ჩრდილო ოსეთის დაბა ალაგირში დაიწყეს მუშაობა და ცხოვრება. მათ შორის ერთ-ერთი იყო ვასილ ლობჟანიძე, სპეციალობით მზარეული. 1890 წლისათვის ალაგირში უკვე 300 ქართველი ოჯახი ცხოვრობდა, ჩრდილო ოსეთში რაჭველების წასვლა განაპირობა სარჩოს ძიებამ. ილია ჭავჭავაძე ძალიან განიცდიდა, რომ ეს მშრომელი ქართველი ხალხი ტოვებდა თავის ადგილმამულს და სხვაგან მიდიოდა საცხოვრებლად.

ძმები ლობჟანიძეები

40 წელი იცხოვრეს ქართველებმა ალაგირში, გაითქვეს სახელი პატიოსანი შრომით, შექმნეს კერია, ააშენეს სკოლა, იქ მათ დროებით მაცხოვრებლებს ეძახდნენ და ავიწროვებდნენ. 1918 წელს კი ქართველები ალაგირიდან აყარეს და გააძევეს. დღეს ცხოვრობენ ლაგოდეხის რაიონის სოფ. გიორგეთში. ალაგირიდან ქართველების გამორეკვის დროს ვასილ ლობჟანიძე გერმანიაში იყო. შინ დაბრუნებულს ალაგირში ქართველები აღარ დახვედრია, საით წასულიყო აღარ იცოდა. ბოლოს დასახლდა ალაგირიდან 15 კილომეტრში მდებარე დაბა მიზურაში, შეირთო ქართველი ქალი, რომელთანაც შეეძინა 8 შვილი — ორი ქალი და ექვსი ვაჟი. იქ, მდინარის პირას ცხოვრობდა მხოლოდ ერთი ქართული ოჯახი, რომელთა შვილები ვარჯიშობდნენ ქვების, ხეების, რკინის აწევაში, მიზანი იყო მხოლოდ ის, რომ სხვებს ადვილად არ დაეჯაბნათ. არც ერთ მათგანს შტანგა თვალითაც არ ენახა. ერთხელაც ნახეს — იქაური სტუდენტი ვარჯიშობდა. მივიდნენ და სტუდენტ სპორტსმენს რომ უჭირდა სიმძიმეების აწევა, მათ თავისუფლად დაძლიეს. აქედან იწყება უფროსი შვილის გიორგი ლობჟანიძის წარმატებები. რუსეთის პირველ კონკურსში სიმძიმეების აწევაში, რომელიც 1951 წელს ჩატარდა, გიორგი ლობჟანიძე ჩემპიონი გახდა. ეს შედეგი სამჯერ გაიმეორა 1952-53-54 წლებში. შემდეგ ვარჯიში სერიოზულად დაიწყო ძალოსნობაში და 1958 წელს დაამყარა მსოფლიოს რეკორდი. ესაა ქართველ ძალოსანთა პირველი მსოფლიოს რეკორდი. 1962 წლამდე კიდევ ხუთჯერ გახდა მსოფლიო რეკორდსმენი, შემდეგ მწვრთნელად იწყებს მუშაობას ქ. ნალჩიკში, მოუხმო ადგილობრივ ახალგაზრდობას, მათ შორის თავის ძმებს და 39 სპორტის ოსტატი აღზარდა. მისმა ძმებმა ვახტანგ, ვოვა და შოთა ლობჟანიძეებმა რუსეთისა და შეიარაღებული ძალების ჩემპიონობა მოიპოვეს და საბჭოთა კავშირის პირველობის პრიზიორები გახდნენ. ვახტანგ ლობჟანიძე 1969 წელს გადმოდის საცხოვრებლად საქართველოში ქ. რუსთავში. 79 წლამდე 10-ჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი, გარდა ამისა, 40-ჯერ დაამყარა საქართველოს რეკორდი. ქ. რუსთავშიც აღზარდა 20 სპორტის ოსტატი და ერთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. ვახტანგის შვილმა ავთანდილ ლობჟანიძემ ახალგაზრდებს შორის მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა და გახდა რეკორდსმენი.

უფროსი ძმა გიორგი ლობჟანიძე ამბობს: გინესის წიგნში რომ აღინიშნებოდეს ოჯახების მიერ სიმძიმეების აწევაში მსოფლიო რეკორდები, ჩვენ პირველები ვიქნებოდით — ყოველდღიურად ექვსი ძმა, ათეულობით ტონა ტვირთს ვეწეოდით.

კასპელები ეძებენ... საქართველოს შაშის ფედერაციის პრეზიდენტს

აღმომჩენს ჯილდოდ ერთი ყუთი არაყი „კასპი"

რედაქციაში უცნაური წერილების მიღება ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ამგვარი რამ ჯერ არ დაფიქსირებულა. სპორტის ოსტატობის კანდიდატი შაშში, კასპელი ანზორ ყაბარაშვილი რაიონის მოშაშეთა სახელით გვთხოვს დავეხმაროთ საქართველოს შაშის ფედერაციის მიგნებაში და ვაცნობოთ თუ ვინ არის პრეზიდენტი და როგორ შეიძლება მასთან დაკავშირება.

რა უნდა გვექნა? ჩვენც ავდექით და გამოვაცხადეთ ძიება. ვერც ჭადრაკის ფედერაციაში, ვერც სპორტულ ორგანიზაციებში დამაიმედებელი ვერაფერი გვითხრეს. ყველა ერთსა და იმავე პასუხს იძლეოდა: „ერთ დროს ასეთი ფედერაცია, ჭადრაკს იყო თავშეფარებული" — ესაა და ეს. რით დავამშვიდოთ კასპელები? გპირდებით ბიჭებო, რომ ძიებას განვაგრძობთ, იქნებ მართლაც სადმე შაშის ფედერაცია და კაი გვარიანადაც სარგებლობს სტატუსით.

ერთი სრული ყუთი არაყი „კასპი" იმას, ვინც საქართველოს შაშის ფედერაციას გვაპოვნინებს.

ლლ მატიანე
ეს იყო 50 წლის წინათ

● 1949 წლის ოქტომბრის ბოლოს ჩვენმა კალათბურთელებმა და ფეხბურთელებმა უდიდესი სიხარული მოუტანეს თავიანთ ქომაგებს. თბილისის „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა სსრ კავშირის თასი მოიპოვა რიგის „დინამოსთან" პაექრობაში. ფინალური ეტაპი ჩატარდა თბილისში.

მარცხნიდან — ო. ქორქია, დ. გოძიაშვილი, მ. კეკელიძე, ჯ. ნიჟარაძე, ლ. ინწკირველი, გ. რუხაძე, ა. მესხი, თ. მეძმარიაშვილი. შ. ქორქაშვილი.

● **ფეხბურთში** სსრკ პირველობის მეორე ქვეჯგუფის ფინალურ ტურნირში თბილისის „სპარტაკმა", 30 ოქტომბერს, დონის როსტოვში, დაამარცხა მოსკოვის ოლქის გუნდი 1-0 და პირველობა მოიპოვა. „სპარტაკი": პირაევი, ქვარიანი, ს. შუდრა, ოსაძე, კილაძე, გამყრელიძე, ა. პაიჭაძე, ი. ბურჭულაძე, ლომაია, გუგუნავა, ნ. გაგნიძე. გოლი გაიტანა ლომაიამ.

● 1949 წლის 12 ოქტომბრიდან თბილისმა ფარიკაობაში XII საკავშირო ჩემპიონატს უმასპინძლა. საქართველოს ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში დაიკავა IV ადგილი.

● **თბილისში** გამართულ მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში მერი ქოჩლაძემ 80 მ. თარჯრბენში სსრკ ქალიშვილთა რეკორდი დაამყარა (12,1), ნადეჟდა ხნიკინამ გააუმჯობესა 15 წლის წინანდელი საკავშირო მიღწევა სიგრძეზე ხტომაში (5.82).

„რაინდულო საქართველოვ, აღსდექ!"



ქართული საბრძოლო ხელოვნების სისტემები: „მთიელთა საბრძოლო სტილი" – ხევსურთა საბრძოლო მომზადება

საბრძოლო ტრადიციებით მდიდარი ხევსურეთი გადაჭიმულია კავკასიონის მთავარი ქედის ორივე მხარეს, მდინარეების არხოტისა და შატილის ზემო წელის მიდამოებში და იყოფა: პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთად. საქართველოს ჩრდილოეთი ზოლის მკვიდრნი, ხევსურები, ყოველთვის საიმედო ძალას წარმოადგენდნენ გარეშე დამპყრობთაგან ქვეყნის დასაცავად. არც ერთ მუსულმანურ ურდოს ვერ გაუბედია ხევსურეთიდან გადმოსვლა.

ხევსურთა წარმოშობაზე ბევრი ვერსია არსებობს. მაგალითად, ადრეული ხევსურეთის უცხოელი მკვლევარები (ზისერმანი, რადე და სხვა) თვლიდნენ, რომ ხევსურები წარმოადგენდნენ იმ ევროპელი რაინდების შთამომავლებს, რომლებიც მონაწილეობდნენ შუასაუკუნებრივ ჯვაროსნულ ლაშქრობებში, შემდეგ ჩარჩნენ საქართველოში, სადაც გადიოდა უდიდესი აბრეშუმის გზა, ევროპასა და აზიას რომ აერთებდა.



მშვილდოსნობა (ირ. ოჩიაურის ნახატი)

დასაწყისი იხ. „ლელოს" წინა ნომრებში

ქართველი მეცნიერების გამოკვლევებმა დაამტკიცა ამ თეორიების მცდარობა; დადასტურებულია, რომ ხევსურები განეკუთვნებიან ქართველთა ტომებს. ასე მაგალითად, აკადემიკოსი ს. ჯანაშია თავის ნაშრომში „ადრინდელი ფეოდალური საქართველო" (თბ. 1937), აანალიზებს რა თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობებს ძველი ქართველი ტომების ფხოველებისა და დიდოელების შესახებ, ხსნის, რომ ფხოველები იყვნენ დღევანდელი ფშავები და ხევსურები, ხოლო დიდოელები კი მათი ახლობელი მეზობლები — დაღესტნელები. „ხევსურები წარმოადგენდნენ ერთ-ერთ უძველეს ქართულ ტომს, რომელმაც შემოინახა ისეთი უძველესი ქართული კულტურის ძეგლები და ტრადიციები, რომელიც დიდ საგანძურს წარმოადგენს ქართული მეცნიერებისათვის (ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, „ხევსურული ორნამენტი", თბ. 1939).

უძველეს ხევსურეთს იკვლევდა ძალიან ბევრი მეცნიერი, გეოგრაფი, მოგზაური, მწერალი, მისიონერი, ეთნოგრაფი. მათ შორის ქართველი (ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ნ. ჯანაშია, ა. ყამარაული, ს. მაკალათია, ა. რობაქიძე, გ. თედორაძე, რ. ხარაძე და სხვ.), ასევე უცხოელი (ჟან ბატისტ ტავერნიე, კრისტოფორე კასტელი, არქანჯელი, ლამბერტი, დონიქო კარლი, გ. რადე, ვ. სტრუვე და სხვ.) და რუსი პ. უვაროვა, ა. ხუდადოვი, ლ. პანეკი, ა. ზისერმანი, ვ. გურკოკრიაჟინა და სხვა). მეცნიერულად, სამწუხაროდ, ყველა ეს გამოკვლევა ზედაპირულია, ცალმხრივი; განხილულია მხოლოდ ეთნოგრაფიული კუთხით. ხევსურთა საბრძოლო ხელოვნების გამოკვლევას, შესწავლასა და აღდგენას ესაჭიროება კომპლექსური შესწავლა: როგორც ეთნოგრაფიული, ასევე იარაღმცოდნეობის კუთხით (მხრივ) და რაც მთავარია — საბრძოლო ანუ ორთაბრძოლის კუთხით. საჭიროა ქართულ ადათ-წესებში ჩახედული კარგად ერკვეოდეს იარაღის ხელოვნებაში და მისი ფლობის სიმარჯვეში და ხერხებში.

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვასილ ელაშვილი



ჩაზაური ლიქოკელი და ვასილ ელაშვილი (მარჯვნივ) წიგნ „ფარიკაობაზე" მუშაობის დროს, ხევსურეთი, 1956 წ.

საბედნიეროდ, საქართველოში ცხოვრობდა ასეთი პიროვნება, რომელმაც ფართოდ და ღრმად, მეცნიერულ დონეზე შეისწავლა საქართველო, მისი საბრძოლო ხელოვნება, მეომრის აღზრდის მეთოდები — ეს გახლდათ პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სპორტის ისტორიისა და ფიზიკური აღზრდის ისტორიის საერთაშორისო კომიტეტის (იუნესკოს სტატუსი) წევრ-კორესპონდენტი პროფესორი **ვასილ ელაშვილი.** იგი მშვენიერი მოფარიკავეც იყო, იარაღმცოდნეც და ეთნოგრაფიც. იგი სულ ახლახან გარდაიცვალა (1997 წ.). ბედნიერი ვარ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მისი შეგირდი ვიყავი.

თუმცა თავისი მეცნიერული მოღვაწეობის პერიოდში (საბჭოეთის დროს) მრავალჯერ ცდილობდნენ შეეჩერებინათ მისი მოღვაწეობა (მუშაობა) და სულ ეჩიჩინებოდნენ: „რას იქექები წარსულში, აწმყოს მიხედე". ბატონმა ვასილ ელაშვილმა მაინც მოახერხა მეცნიერულად გამოეკვლია და აღედგინა „ქართველ მთიელთა საბრძოლო და ფიზიკური აღზრდის ხალხური სისტემა", რომელიც წარმოადგენს ქართული საბრძოლო ხელოვნების საგანძურს. საბრძოლო აღზრდის ამ სისტემაში საფეხურებადაა დაყოფილი სამშობლოს დამცველის, მებრძოლის ჩამოყალიბების ეტაპები, მზადების ნორმატივები, რომელიც იწყება ხუთი წლის ასაკიდან — ბალღობის ეტაპი და მთავრდება 50 წელს გადაცილებული მამაკაცით — ბერიკაცის ეტაპით.

სამეურნეო ყოფამ, გეოგრაფიულმა მდებარეობამ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ, განვითარების გარკვეულ დონეზე განსაზღვრა ის, რომ ხევსურეთში მამაკაცის ფიზიკურმა აღზრდამ ერთგვარი მხედრული მიმართულება მიიღო. ასეთ ფიზიკურ აღზრდაში მთავარი ადგილი მიჩენილი ჰქონდა საბრძოლო ჩვევათა დანერგვას. ე.ი. ისეთი სრულფასოვანი მეომრის მომზადებას, რომელიც თავისი ხალხის პატივსა და სახელს არ დასცემდა და თუ საქმე გაჭირდებოდა, მამულის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავსაც გასწირავდა.

იური ყეინაშვილი,
საბრძოლო ხელოვნების ოსტატი.
სპეციალურად „ლელოსათვის".

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს თასი

მეთექვსმეტედფინალი

აღმოსავლეთი ზონა

2 ნოემბერი.
ლოკომოტივი — ლოკომოტივი-2 5-0, სიონი — ზოოვეტი 1-2, არსენალი — აკადემია 0-0, მერანი — ცხინვალი 1-0, ჭაბუკიანი — თბილისი 0-1, გორდა — ივერია (ივერიამ რუსთავში დაიგვიანა).
3 ნოემბერი: დინამო — თორი 5-0, ვიტ-ჯორჯია — ს.ა. იბერია 4-1.

დასავლეთი ზონა

2 ნოემბერი
ტორპედო — სამეგრელო 7-0, ბათუმი — ოკეანე 2-0, კოლხეთი — შუქურა 6-0, იბერია — მარგვეთი 1-0, დილა — მეგრი 4-1, თსუ — მეტალურგი 1-1, სამგურალი — იბერია-2 3-0, ხობი — გურია 3-1.

იუმორესკა

არქივში ნაპოვნი წერილი ელგუჯა მაღრაძისადმი მცირეოდენი ჩამატებებით

(ილიასეულად)

შვილო ელგუჯავ!

იმ დღეს ციურიხიდამ მამივიდა ფოშტა, ერთი უნდა ჩავუხველო ქართველ ფუტბოლისტებსა, — „დინამოს" წაუგია! მსაჯი ქითაფჯანი ყოფილა! ვისი ეშმაკობა უნდა იყოს ამ პატარ-პატარა ისრების სროლა? ციურიხის ფუტბოლის შტაბისა, განა? აფერუმ იმათ სამართალსა!

ეს ნაზუქებია, ხილი მერე იქნება! ნახამთ თუ არა.

ელგუჯავ! იმ მსაჯს შვეიცარიის ბანკიდამ თოფრაკით ოქრო ექნება აღებული, რაკი-ღა მამალი პენალტი ვერ დაუნახამს! მამა უცხონდა, ეგ მსაჯად კი არა, შვეიცარად უნდა ირჯებოდეს შვეიცარიაში!

ამბობენ, ქითაფჯანი ადრე ბაბაჯანი იყოო! მართალია, თუ ტყუილი? მართლა მსაჯია თუ ცელქობს? აბა, გეთაყვანე, გამოიცან!

გამოიცან და „უეფას" თასი თბილისისა იქნება!

ანგლიაში დაუწერიათ, თბილისის „დინამო" საერთაშორისო კლასის გუნდიაო (ვის უთქომს?) ბორის პაიჭაძე მსოფლიო მოთამაშე იყოო! (ესეცა სცოდნიათ!) მიხეილ მესხს ძალზედ იხსენებენ, შაბაშ!

ეხლანდელი ფეხბურთი ტეხნიკურად შორს არი წასული, რაღაც უბრალო შტუკები აუთვისებია „დინამოსა" და ტყუილად ფაცი-ფუცობენ. ერთი ყოფა აქვთ სარბიელზედ. ახ, ელგუჯავ! ქართული ჯიგარი აღარ არის, ქართული! რა ჰქნას მარტო ბატონმა მერაბ ჟორდანიამა?

ქართველი ფეხბურთელები ევროპაში ჟუდებიან, თითოეულის ფეხები ოც მილიონ დოლარად არის შეფასებული სტრახოვკითა!.. ევროპელები ცენტრიდან ურტყამენ ბურთსა. აფსუს, ეხლა გვინდა ნაპადენიაში ხუთი ხურცილავა, თავდაცვას მოევლება... ქართველებს ერთი ბურთი-ღა გვქონდა, ისიც წაგვგლიჯეს ფეხიდამა... ამას უბრალოდ მოგახსენებ, თორემ მე ვინა და კალამი ვინა?

გავიგე, ტაისონს უკვე ხელი უკანკალებს, ფინჯანი ყავა დალვარაო. ტყუილია? ე ვარიანელი დევი, გიორგი კანდელაკი რასა იქმს? ქართლელია და კახურად კი ურტყამს! აბა, მატარებლის ვაგონის ბუფერი რომ მოგხვდეს კაცსა, გიამება? ცისტერნასა ხეთქამს!

დაიხსომე ელგუჯავ, მაგის მომრევი კაცი არ არის დუნიაზედ. პაი, პაი, ულონიერესი ყოფილა! აფერუმ!

Ах брат, наши девушки блестели в шахматном мире, ამ ჩაჩულია კაცების კი რა მოგახსენოთ!

Затем я к тебе имею частную просьбу - я просил. საქართველო „ნატოს" წევრად უნდა შეეყვანა შევარდნაძესა! აკი ხალხებს დაჰპირდა კიდეცა.

Не зная выполнил-ли он свое обещание?

შევარდნაძეს ტოლი არა ჰყამს დედამიწაზედ, როგორც პოლიტიკოსსა და პრეზიდენტსა. ჩემგან გადაეცი, რომ არჩევნებში მე ხმას ვაძლევ №1 მმართველ პარტიასა! რა გვჭირს ქართველებსა? ღმერთო, რატომ არ ინდობს ქართველს ქართველი? რუსთაველი განდევნეს და ვინ დატოვეს საქართველოშია? თავისუფლებისა და ჭეშმარიტების გზაზედ იბრძოდა შუბლი ბუდასი, შუბლი მოსესი, იესოსი... ამიტომ არ უნდა უკვირდეს პრეზიდენტსა არც ეკლის გვირგვინი და არც გზა გოლგოთისა! საქართველოს კაცობრიობის ერთ-ერთი წინამძღოლი ერია! თუ საქართველო აღარ იქნება, ცეცხლსა და გრიგალს წაულეკია მსოფლიოს ყველა სახელმწიფონი.

ელგუჯავ! დუმილი ოქროა. მაგრამ დუმილმა ხშირად დაგვღუპა, როგორც ქართველურმა პატიოსნებამ. შევარდნაძეზედ მთელი მსოფლიო ლოცულობს.

საქართველოს პრეზიდენტს არ უნდა რომ გაიმეოროს „ორი ნოეს" შეცდომები. პოლიტიკაში შევარდნაძე შორსმჭვრეტელი და საქმემაღალია.

სვანეთის 14 სალოცავი იცავს მას, კვირიკე, უშგული, მუჟალის მთავარანგელოსი, დიდი სვეტიცხოველი, გელათი, შემოქმედის, ალავერდის ტაძარი.

მას არა სურს ომის ხანძარი და უკოცნელი ბიჭების სისხლი. მისი ორგულნი კი ორგულად რჩებიან, თუნდაც წმინდა ტაძარში მოიკლან თავი... გაგონილა? გველი გველია ეკლესიაშიც. სულხან-საბა ლუდოვიკოსთან ალოდინეს და.. ვერაფერს მიაღწია, ვერც რომის პაპთან. ეხლა კია, გავიგე, რომის პაპი თავადვე უნდა ეახლოს საქართველოსა...

საქართველო არ მოკვდება! ჭუჭყვით ჩამოირეცხავს მოღალატეებსა. პრეზიდენტს ჩემგან მხურვალე მადლობა გადაეცით იდგეს „მტკიცედ და შეურყევლად!".

მარად თქვენი ილია.

წერილი აღმოაჩინა და
დამატებები დაურთო
ქართლოს ქასრაძემ

ისევ პრემიერლიგაში...

გიორგი ქინქლაძე

გიორგი ქინქლაძის „დერბი ქაუნთში" გადასვლის ცნობამ ამ ინგლისური კლუბის ფანებზე უფრო ქართველი გულშემატკივრები გაახარა — ჩვენს მიძინებულ ვარსკვლავს როგორც იქნა რეანიმაციის რეალური შანსი გაუჩნდა. „აიაქსის" მწვრთნელებთან უთანხმოების გამო ქინქლაძეს ფაქტობრივად ხომ ორი სეზონი გაუცდა. მისი გადაბირება ჯერ ინგლისის პირველი დივიზიონის „შეფილდ იუნაიტედს" სურდა. ჰოლანდიელები გარიგებაში 3,5 მილიონ გირვანქას ითხოვდნენ და ალბიონელებიც თითქოს, ყაბულს იყვნენ, მაგრამ ბოლო მომენტში პრემიერლიგის „დერბიმ" იმარჯვა და იჯარით დაიბევა ჩვენებური.

26 წლის ქართველი ფლეიმეიკერი უკვე „დერბიშია" და გუნდთან ერთად ვარჯიშობს. ინგლისის შრომის დეპარტამენტთან სავარაუდოდ ნოემბრის ბოლოსთვის მოგვარდება ფორმალობები და გიოს დებიუტსაც სწორედ მაშინ უნდა ველოდოთ ამ კლუბში. დღესდღეობით „დერბი" პრემიერლიგის გათამაშების ცხრილის ბოლოდან მეხუთე, მეთექვსმეტე ადგილზე იმყოფება და მიზნებიც მოკრძალებული აქვს — ამაზე ქვევით არ ჩამოქვეითდეს. იმასაც მოგახსენებთ, რომ ამ სეზონში და საერთოდ, ბოლო დროს „დერბის" საყოველთაოდ აღიარებული ოსტატი ან გამორჩეული ლიდერი არ ჰყოლია — ასეთ მისიას ქინქლაძისაგან ელიან, რომელიც ორწლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა ინგლისურ ფეხბურთს. „დიდ სიამოვნებას მანიჭებს კვლავ ნაცნობ გარემოში დაბრუნება. შევცდი, როცა 1997 წელს ინგლისიდან წავედი. მანჩესტერში გატარებული სამი წელი საუკეთესო იყო ჩემს კარიერაში. „დერბის" ფეხბურთელები ძალიან კარგად შემხვდნენ" — განუცხადა ალბიონელ ჟურნალისტებს ჩვენებურმა. ხოლო „დერბის" თავკაცმა ჯიმ სმიტმა კი დასძინა: „არ არის მართალი, რომ „აიაქსში" ყოფნისას ქინქლაძემ წონაში ძლიერ მოიმატა, ცუდ კონდიციებშია. მისი ფიზიკური ფორმა დამაკმაყოფილებელია და ის დიდი მონდომებით ვარჯიშობს".

რეგიონული ლიგა

დასავლეთი

„ა" ზონა • VIII ტური

რწმენა — იბერია 0-0, სულორი — რაჭა 1-1, გურია — ინტერი 1-0, მეტალურგი — მაღაროელი 1-0. მარგვეთი — მეშახტე, ოკეანე — გაგრა — მატჩები გადაიდო.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
მარგვეთი	7	6	1	0	23-5	18
მეტალურგი	8	4	3	1	13-9	15
ინტერი	8	3	4	1	11-4	13
იბერია-2	8	2	5	1	10-7	11
სულორი	8	2	5	1	9-12	11
ოკეანე	7	3	1	3	11-11	10
გაგრა	7	2	4	1	12-10	10
რაჭა	8	1	5	2	7-7	8
მეშახტე	7	1	3	3	11-19	6
მაღაროელი	8	1	3	4	13-16	6
რწმენა	8	1	3	4	2-10	6
გურია	8	1	1	6	3-15	4

„ბ" ზონა • VIII ტური

სქური — ჩელა 3-2, მეგრი — კოლხეთი-2 1-1, ზუგდიდი — ბახმარო 3-0, მერცხალი — სამეგრელო 0-1, შუქურა — ფაზისი 3-1, ბათუმი-2 — ლაზიკა 0-1.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
შუქურა	8	7	1	0	27-7	22
ლაზიკა	8	6	1	1	20-9	19
მეგრი	8	6	1	1	14-8	19
ზუგდიდი	8	5	1	2	22-7	16
კოლხეთი-2	8	3	3	2	8-9	12
სამეგრელო	8	3	1	4	10-8	10
სქური	8	3	1	4	14-18	10
ფაზისი	8	2	3	3	9-17	9
ჩელა	8	1	1	6	6-23	4
ბახმარო	8	1	1	6	5-18	4
მერცხალი	8	0	4	4	4-9	4
ბათუმი-2	8	0	4	4	7-13	4

აღმოსავლეთი

„ა" ზონა • VIII ტური

ივერია — საუ 4-2, არაგვი — იბერია 1-3, მრეტები — მესხეთი 0-0, ცხინვალი — განთიადი, ცხუმი — თორი მატჩები გადაიდო.

განთიადი	6	5	1	0	17-3	16
ცხინვალი	6	5	1	0	10-1	16
ივერია	7	5	0	2	18-8	15
თორი	7	4	1	2	13-6	13
ცხუმი	6	3	1	2	12-9	10
საუ	8	3	1	4	11-11	10
მესხეთი	7	2	2	3	10-16	8
იბერია	7	2	1	4	9-11	7
მრეტები	7	1	4	2	5-9	7
ვარძია	7	1	1	5	3-20	4
არაგვი	8	0	1	7	8-22	1

„ბ" ზონა • VIII ტური

ამირანი — თბილისი-2 1-0, ყვარელი ხალიბი 1-2, ჭაბუკიანი — ენერგეტიკოსი 5-1. ალაზანი — ზოოვეტი, ლოკომოტივი-2 — აკადემია მატჩები გადაიდო.

არსენალი-2	7	6	1	0	21-6	19
ლოკომოტ.-2	6	5	0	1	165-7	15
ზოოვეტი	6	4	1	1	[illegible]	13
ამირანი	8	4	1	3	[illegible]-16	13
ჭაბუკიანი	7	4	0	3	13-7	12
ალაზანი	6	3	1	2	13-9	10
ხალიბი	8	2	2	4	7-14	8
აკადემია	6	1	3	2	3-5	6
თბილისი-2	7	1	2	4	8-14	5
ყვარელი	7	1	1	5	6-16	4
ენერგეტიკოსი	8	1	0	7	11-28	3

ბათუმელმა ჭაბუკებმა ყველა მატჩი მოიგეს



ერევანში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში ჭაბუკთა შორის (1983 წელს დაბადებულნი), რომელშიაც ექვსი გუნდი მონაწილეობდა, მათ შორის იყო ბათუმის განათლების განყოფილების ნაკრები. შეჯიბრება წრიული სისტემით გაიმართა.

ბათუმელმა ყმაწვილებმა პირველ ტურში 2-0 მოუგეს აბოვიანის „კოტაიკს", მეორე წრეში — ერევნის „არტაშაკს" 5-1, მესამე და მეოთხე ტურებში ქართველმა ფეხბურთელებმა შესაბამისად დაამარცხეს ოქტომბრიანის „სევანი" — 3-1, და ლენინაკანის „შირაქი" — 2-0.

4-4 გამარჯვების შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმის განთლების განყოფილების და ერევნის „არარატის" გუნდები. აქაც ქართველმა ფეხბურთელებმა იყოჩაღეს და ეს მატჩიც მოიგეს — 2-1. ჩვენი ბიჭებიდან გოლები გაიტანეს მიშიკო ქასრაშვილმა და ნიკუშა ფურცხვანიძემ.

ამრიგად, მწვრთნელ გია ჯორბენაძის აღსაზრდელებმა ხუთივე მატჩი მოიგეს და დამსახურებულად მოიპოვეს პირველი ადგილი, რისთვისაც საპატიო ბროლის თასს დაეუფლნენ. საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი ერგო მიშიკო ქასრაშვილს, გოლიადორის — ნიკუშა ფურცხვანიძეს (9 გოლი).

ოთარ მურვანიძე, ბათუმი

პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს" თასის გათამაშება მინიფეხბურთში

„A" ჯგუფი

XVII ტურის შედეგები:
მაესტრო – ფალავანი 2-2
დიდუბე – დიღომი 3-0
სპ. საქართველო – ვაკე-1 3-4
დრონი – 7 დღე 2-3

გათამაშების ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. მაესტრო	17	15	1	1	77-44	46
2. მეტეხი	17	13	1	3	65-29	40
3. მთაწმინდა	16	12	2	2	82-34	38
4. ვაკე-1	17	12	0	5	80-36	36
5. სარბიელი	17	11	1	5	71-59	34
6. ფალავანი	17	10	3	4	87-36	33
7. დრონი	17	10	2	5	55-28	32
8. ვერა	17	10	2	5	69-41	32
9. მილ.–ავლ.	17	10	1	6	64-65	31
10. სპ. საქარ.	16	8	3	5	58-39	27
11. დიღომი	16	7	4	5	47-38	26
12. კავკასიონი	16	8	1	7	52-46	25
13. მეტროპოლ.	17	7	1	9	48-48	22
14. 7 დღე	17	7	0	10	41-47	21
15. დიდუბე	17	6	2	9	60-66	20
16. პლატო-99	17	4	0	13	35-134	12
17. ვაკე-75	17	2	1	13	21-63	7
18. ლიდერი	17	2	1	13	30-75	7
19. თემქა	17	1	0	16	32-67	3
20. სონიკო	17	0	0	17	26-98	0

ბომბარდირები:

1. კოკა რუსაძე (მთაწმინდა)	45
2. კოკა ბიბილეიშვილი (ვაკე-1)	38
3. ემზარ ბედინეიშვილი (ფალავ.)	33
4. რამაზ დვალიშვილი (მილანი)	32
5. გიორგი ალთუნაშვილი (დრონი)	30
6. ლექსო მარგიანი (მეტეხი)	26
7. ჯამბულ ხასაია (დიდუბე)	24
8. ლევან გოგრიჭიანი (მაესტრო)	22
9. კახა თალაკვაძე (სარბიელი)	18
10. გია ჭყონია (მაესტრო)	17
11. ლევან ევგენიძე (მეტეხი)	16
12. გოგი მაკასარაშვილი (ფალავ.)	16
13. დათო კუჭავა (ვერა)	16

XVIII ტური:
6.XI. შაბათი
12.50 მთაწმინდა – კავკასიონი
13.40 დიდუბე – კავკასიონი
15.20 მილანი – პლატო-99
7.XI კვირა
12.00 მაესტრო – დიღომი
12.50 ფალავანი – მეტეხი
14.30 სარბიელი – ვაკე-1
15.20 სპ. საქართველო – ვერა

„B" ჯგუფი

1. სახალ.ვერა	8	8	0	0	39-10	24
2. ლოკომოტ.	8	6	2	0	[illegible]-12	20
3. ნაძალადევი	8	5	1	2	15-12	16
4. ორბი	8	4	2	2	26-14	14
5. ავლაბარი	8	4	0	3	38-36	12
6. თბილისი	8	3	2	3	27-22	11
7. ვეძა	8	3	0	5	19-31	9
8. ირაო	8	1	2	5	8-16	5
9. მაქსი	8	1	1	6	10-31	4
10. სპ.საქარ.-2	8	0	0	8	15-56	0

ბომბარდირები:

1. ბადრი სარიშვილი (ავლაბარი)	25
2. გოჩა გრძელიშვილი (ლოკომოტ.)	13
3. ხვიჩა ჩხიკვაძე (ლოკომოტ.)	11
4. გიორგი თოთლაძე (სახ.ვერა)	9
5. კოტე მიგინეიშვილი (თბილისი)	7
6. რეზო დევდარიანი (სახ.ვერა)	6
7. გოჩა ფეიქრიშვილი (ლოკომოტ.)	6
8. გია კვირიკაშვილი (თბილისი)	6

IX ტური
6. XI. შაბათი
12.00 ორბი – ვეძა
14.30 ნაძალადევი – ავლაბარი
7.XI. კვირა
13.40 სახალხო ვერა – ლოკომოტივი

მატჩები გაიმართება სპორტკომპლექს „ქარშხალაში".

ვალტერ სანაია პირველი იყო

„ლელოს" წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ ცნობა წარსულში ცნობილი ფეხბურთელის ვალტერ სანაიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ამ დღეებში რედაქციაში გამუდმებით გვირეკავენ, გვთხოვენ დაწვრილებით ინფორმაციას ამ ცნობილი მეკარის შესახებ.

ვალტერ სანაია დაიბადა ოჩამჩირეში. იგი ახლა 75 წლისა იყო, ცხოვრობდა მოსკოვში. როგორც მეკარის აღმასვლა დაიწყო თბილისის „დინამოში", შემდეგ გადაიყვანეს მოსკოვის „დინამოში", სადაც თადარიგში „დასვა" ცნობილი ხომიჩი, ხოლო იაშინს გზა გაუხსნა დიდ ფეხბურთში. იქვე დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ვალტერ სანაია პირველი ქართველი ფეხბურთელია, რომელიც გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. 1949 წელს ეს ტიტული მან მოსკოვის „დინამოში" მოიპოვა. ვალტერ სანაიას ქალიშვილია ცნობილი ფიგურული მოციგურავე მარინე სანაია.

ერიხ რიბეკი: კრიზისი გერმანული ფეხბურთისთვის უცხო რამ არის...

(პირველი გვერდიდან)

დი ჩემს თავს კარგ ფეხბურთელად. ჩემი ძლიერი მხარეები იყო გამძლეობა, სისწრაფე და თავით თამაში.

— მე ხომ მცველი გახლდით. მე არ მივეკუთვნებოდი იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც ბურთი ყოველთვის ფეხებზე ჰქონდათ აკრული.

● ***როცა გერმანიის ეროვნული გუნდის თამაშს ადევნებთ თვალს, ხომ არ თვლით, რომ მაშინაც ერთობით?***

— მე ცოტათი ყოველთვის მაღიზიანებს ტერმინი „გართობა“. თუ თქვენ მხედველობაში გაქვთ ჩვენი ეროვნული გუნდის გამოსვლა წლევანდელ კონფედერაციის თასზე მექსიკაში, მაშინ შემიძლია გითხრათ, ყოველთვის ვგრძნობდი, რომ მექსიკაში წასვლით კარგი არაფერი მოხდებოდა. ამ ტურნირისათვის ჩვენ ცუდად ვიყავით მომზადებულნი, გვაკლდნენ საუკეთესო მოთამაშეები, ხოლო ჩვენი მეტოქეები ამ მხრივ სულ სხვა სიტუაციაში იყვნენ.

მათეუსი და რიბეკი

● ***კონფედერაციის თასის შემდეგ ბევრი კრიტიკული აზრი გამოითქვა — გერმანული ფეხბურთი დაღმა დაეშვაო. თქვენც ამჩნევთ ამას?***

— ეს ღიმილის მომგვრელი სისულელეა. ვინც ამას ამბობს, ან სიძულვილი ალაპარაკებს, ან სიტუაციაში ვერ ერკვევა. ექსპერტებს თავიდან უნდა ეთქვათ, რომ გერმანია წარმატებით ვერ იასპარეზებდა მექსიკაში. ჯგუფში ჩვენი მეტოქეები, განსაკუთრებით ბრაზილია და აშშ, ჩვენგან განსხვავებით ბრწყინვალედ იყვნენ მომზადებულნი. ბრაზილიელები სულაც 2 თუ 3 თვე ერთად იყვნენ, კონფედერაციის თასამდე მათ Copa America-ზე იასპარეზეს და გაიმარჯვეს კიდეც. მე, როგორც ნაკრების მწვრთნელი, გუნდის ასე თანდათანობით მომზადებაზე მხოლოდ ოცნება შემიძლია, სანამ ბუნდესლიგის კლუბები არ ითანამშრომლებენ. ისინი არ გაანთავისუფლებენ თავიანთ მოთამაშეებს ამდენი ხნით ეროვნული ნაკრებისთვის. გარდა ამისა, მთელ მსოფლიოში გუნდების დონე ერთობ გათანაბრდა. ჩვენ, გერმანელები უნდა განვთავისუფლდეთ იმ აზრისაგან, რომ ევროპაში 4 თუ 5 ელიტარული ნაკრებია, დანარჩენები კი არ არიან კარგები.

● ***ხომ არ ფიქრობთ, რომ, ყველაფერი ეს გერმანული ფეხბურთის კრიზისზე მიუთითებს?***

— არა. ამას მხოლოდ მაშინ ვიფიქრებდი, თუ ჩვენი ნაკრები ევრო-2000 შესარჩევი ციკლის ჯგუფში პირველ ადგილს ვერ დაიკავებდა.

● ***ისინი, რომლებიც ამტკიცებენ, გერმანული ფეხბურთი კრიზისშიაო, ეყრდნობიან იმ ფაქტს, რომ გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშედ გერმანიაში 38 წლის ლოთარ მათეუსი დასახელდა. ნაწილობრივ მაინც არ იზიარებთ ამ აზრს?***

— ეს აბსოლუტური უაზრობაა — მათეუსი უნიკალურია. ის ჯერ კიდევ მაღალ დონეზე თამაშობს და კვლავინდებურად წარმართველი ფიგურაა, როგორც „ბაიერნში“, ასევე ეროვნულ გუნდში.

● ***ეს, ფაქტობრივად, იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მათეუსი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთამაშეა ეროვნულ ნაკრებში?***

— არ მომწონს, როცა ერთ მოთამაშეს მნიშვნელოვანს უწოდებენ, ხოლო სხვებს არამნიშვნელოვანს. მაგრამ, მათეუსი, რასაკვირველია, დიდი პერსონაა და უმაგისოდ ნაკრებში მუშაობას ვერ შევძლებ. მისი ძალისხმევა და საქმისადმი მიდგომა აბსოლუტურ პროფესიონალიზმზე მიანიშნებს. შესაძლოა, მან იაპონია-კორეაშიც კი ითამაშოს სამი წლის შემდეგ.

● ***მათეუსის შესახებ მართლაც ძნელია თქვენთან შემოდავება, მაგრამ მათეუსი კვლავინდებურად იმიტომ რჩება დომინანტ პერსონად, რომ კარგი ახალგაზრდა ფეხბურთელები ვერა და ვერ გამოჩნდნენ გერმანულ ფეხბურთში.***

— ახალგაზრდა ფეხბურთელების დაწინაურება რომ პრობლემაა გერმანიისთვის, ეს სიმართლეა. ჩვენი ქვეყნის დიდი კლუბები ბევრს აკეთებენ ახალგაზრდებისთვის, მაგრამ ეს ფუჭი აღმოჩნდება თუ ბუნდესლიგის მიღმა მყოფი პატარა კლუბებიც ბევრს და სერიოზულად არ იმუშავებენ ახალგაზრდების აღსაზრდელად — ჩვენი ფესვებისთვის იძულებულნი ვართ უფრო მეტი ვიღვაწოთ. გერმანიის საფეხბურთო კავშირმა უკვე წარმოადგინა შესაბამისი სამწლიანი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მასში საუკეთესო მწვრთნელების მონაწილეობას.

● ***დღეს ინგლისს ჰყავს თავისი მაიკლ ოუენი, ესპანეთს თავისი რაული, ბრაზილიას თავისი რონალდინიო. მაგრამ გერმანიაში ასეთი არავინაა.***

— ჩვენ გვყავს 19 წლის სებასტიან დაისლერი (ბერლინის „ჰერტა“ — დ.თ.), რომელმაც უკვე გაიკაფა გზა ეროვნულ ნაკრებში. მაგრამ კვლავინდებურად ვუსვამ ხოლმე ჩემს თავს შეკითხვას: რატომ არ მოდის ახალგაზრდული გუნდებიდან პერსპექტიული თეხბურთელების ის რაოდენობა, როგორც რამდენიმე წლის წინათ? პირადად ჩემთვის ეს სოციალური პრობლემაა. ადრე გერმანელი მოზარდები და ახალგაზრდები თავისუფალ დროს მხოლოდ ფეხბურთს უთმობდნენ, დღეს კი მათ ბევრი სხვა რამ აქვთ თავისუფალი დროის მოსაკლავად. მიუხედავად ამისა, სტატისტიკას თუ დავეყრდნობით, ფეხბურთის პოპულარობა ჩვენში მყარია და უფრო იზრდება კიდეც. პრობლემებს გვიქმნის ბევრი უცხოელის ლეგიონერობა ბუნდესლიგაში. ხშირად, როცა ბუნდესლიგის მატჩებზე დავდივარ ნაკრების კანდიდატებზე დასაკვირვებლად, მათ ხანდახან მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე თუ ვხედავ ხოლმე.

● ***უკვე ერთი წელი გავიდა, რაც გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხართ. ელოდით, რომ ასეთ შრომატევად, მძიმე სამუშაოს შეეჭიდებოდით?***

— ჩემი სამუშაო დღის განრიგი ყოველთვის შევსებულია და უფრო დაკავებული ვარ, ვიდრე ამას მოველოდი. კრიტიკა ჩემს მიმართ კი გერმანიის ნაკრების წარუმატებლობაზეა დაყრდნობილი, კონფედერაციის თასზე მექსიკაში. მსურს ვნახო იმ კლუბების მწვრთნელების რეაქცია, როცა მათ ნებას არ დართავენ 7 ან 8 საუკეთესო ფეხბურთელის გამოყენებას მაღალი კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდის წინააღმდეგ. მაგრამ წარუმატებლობა მაინც მე დამაბრალეს. ჩემთვის ამგვარი კრიტიკა მტკივნეულია. 62 წლისა ვარ და გერმანიის ეროვნული გუნდის თავკაცობა საკმაოდ დიდი მოტივაციაა. როცა ეს პოსტი შემომთავაზეს, სპონტანურად დავთანხმდი, რადგან საამისო მოთხოვნებს ვაკმაყოფილებ — ვიცი გერმანული ფეხბურთი, საერთაშორისო ფეხბურთი და პრესასთან ურთიერთობაც ხელმეწიფება. გუნდში ბალანსიც შენარჩუნებულია, კარგი ატმოსფეროა.

● ***ფეხბურთის გარდა რა გაინტერესებთ?***

— მომწონს გოლფი, უფრო კი თხილამურებით სრიალი, შემეძლო კარგი მოთხილამურის კარიერაც შემექნა — მე ყოველთვის უფრო კარგი მოთხილამურე ვიყავი, ვიდრე ფეხბურთელი, მაგრამ ჩვენთვის, გერმანელებისთვის ფეხბურთი ყველაზე მაღლა დგას, ფეხბურთი ყოველთვის სალაპარაკო თემაა. მიუხედავად ამისა, მეუღლესთან სხვა რამეებზეც ვსაუბრობ ხოლმე. მიყვარს შვილებთან და შვილიშვილებთან ყოფნა, მათთან ყავის ან ჩაის წრუპვის დროს ტელევიზორით ფეხბურთის ან კომედიის ყურება.

● ***რა გაღიზიანებთ?***

— არასამართლიანი კრიტიკა. აგრეთვე არ მიყვარს ზედმეტი თავდაჯერებულობა. იმედიანად კი ვუყურებ **"Fair Play"**-ს, მაგრამ ეს ყოველთვის არ ხდება ფეხბურთში. ვერ ვიტან ფეხბურთელების არაკორექტულ დამოკიდებულებას გუნდის ინტერესების მიმართ.

● ***რაზე ოცნებობთ?***

— მეოცნებე არ გახლავართ. მჯერა იმისი, რასაც ვხედავ. მიუხედავად ამისა, თავს უფლებას ვაძლევ, ვიოცნებო ვაჟიშვილთან ერთად სერფინგზე ჰავაის ნაპირებზე.

● ***იმაზე არ ოცნებობ, რომ გერმანია 202 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმარჯვებს?***

— რეალისტი ვარ, არ ვიცი ვიქნები თუ არა ეროვნული გუნდის მწვრთნელი სამი წლის შემდეგ. ისე კი, ბოლოს მინდა გითხრათ, რომ გერმანიისათვის კრიზისი საერთოდ, უცხო რამ არის.

თარგმნა
დათო თავართქილაძემ

(იბეჭდება მცირედი შემოკლებით)

ამით მისი კარიერა უნდა დამთავრდეს

შოტლანდიის პირველობის მატჩი „კილმარნოკსა“ და „გლაზგო რეინჯერსს“ შორის შეიძლება უკანასკნელი აღმოჩნდეს გამოჩენილ თავდამსხმელ ალი მაკოისტისათვის. „ოქროს ბუცის“ ყოფილი მფლობელი, ახლა „კილმარნოკში“ თამაშობს. თამაშის ერთ-ერთ ეპიზოდში იგი მეტად მძიმედ დაშავდა, ფეხი მოტყდა. ექიმების აზრით, ამ ტრავმამ შეიძლება საერთოდ დაასრულოს 37 წლის ფეხბურთელის კარიერა. „ძალიან ცუდი განწყობილება გვაქვს — განაცხადა „კილმარნოკის“ მთავარმა მწვრთნელმა ბობი უილიამსონმა — საერთოდ, ასეთი ტრავმის მკურნალობა 6 კვირას საჭიროებს, მაგრამ თუ მაკოისტის ასაკს გავითვალისწინებთ, მისი სწრაფი გამოჯანმრთელების იმედს, ,საერთოდ არავინ იძლევა.

სამწუხაროა, აღნიშნავენ მიმომხილველები, რომ მაკოისტის შესაძლო უკანასკნელი მატჩი დაემთხვა მაინცდამაინც მის ყოფილ თანაგუნდელებთან შეხვედრას. საუკეთესო წლები ხომ ალიმ სწორედ „გლაზგო რეინჯერსში“ გაატარა, სადაც 1983-1998 წლებში თამაშობდა, 10-ჯერ შოტლანდიის ჩემპიონი გახდა, 350 გოლი გაიტანა (აქედან 251 შოტლანდიის ჩემპიონატებში) და ამით კლუბში შედეგიანობის რეკორდი დაამყარა.

სტადიონის ახალი სახელი

მოსკოვის ცსკას სტადიონ „პესჩანოეს“ სახელი შეეცვალა. ამიერიდან მას „გრიგორი ფედოტოვის სახელობის სტადიონი“ ჰქვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრეი შევჩენკო (მარჯვნივ)

არაჩვეულებრივი სატურნირო ინტრიგა

იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა

წელს იტალიის პირველობის მატჩები ნამდვილად ამშვენებს ევროპულ საფეხბურთო სეზონს. ჯერჯერობით 18 მონაწილეს შორის მხოლოდ ორია დაუმარცხებელი: „ლაციო“ და „მილანი“. იმ 7 ფავორიტიდან, რომელთა არსებობა „დაიგეგმა“ იტალიელ მწვრთნელთა, და, თუ გნებავთ, ჟურნალისტთა წრეებში, გულშემატკივრებს იმედს უცრუებს მხოლოდ „ფიორენტინა“, და არავინ იცის, როდის გამოვა იგი კრიზისული მდგომარეობიდან. ყველაზე სულსწრაფი ტიფოზები, ასე გასინჯეთ, სახელგანთქმული ჯოვანი ტრაპატონის გადაყენებაზეც კი მსჯელობენ.

სულ რამდენიმე ხნის წინათ, როცა მესამე ტურში „ინტერმა“ გამანადგურებელი მარცხი (5-1) აგემა „პარმას“, ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა ალბერტო მალესანი. იტალიური გაზეთები წერდნენ იმის შესახებ, რომ მალესანის არასაკმარისი კვალიფიკაცია აქვს, სად შეუძლია მას „პარმას“ მართვა, იგი ხომ ჯერ ახალგაზრდაა და ა.შ. ასე არ უნდაო და მეხუთე ტურიდან მოყოლებული „პარმამ“, რომელსაც მადლობა ღმერთს, ვარსკვლავები არ აკლია, დაიწყო ზედიზედ მოგება. კარს, როგორც ყოველთვის, საიმედოდ იცავს ნაკრების გოლკიპერი ბუფონი, გამასწორა თამაში დაცვამ, ხოლო, რაც შეეხება თავდამსხმელებს (კრესპო, ამოროზო) და შესანიშნავ „ნახევართავდამსხმელ“ ორტეგას, ისინი იტალიაშიც კი არავის უდებენ ტოლს. „პარმას“ მოგებებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წარმატება ფლორენციაში — 2-0.

5 ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი გახდა „ინტერი“, რომელმაც სძლია „პიაჩენცას“ 2-1 და 13 ქულა მოაგროვა. პირველი დამარცხება და თანაც საკუთარ მინდორზე, იწვნია „რომასთან“ „ფიორენტინამ“ — 1-3. ამით დაიწყო „იების“ დიდი უსიამოვნებები. მისი გულშემატკივრებისათვის, ცხადია, დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ მეხუთე გოლი გაიტანა ბატისტუტამ და სათავეში მოექცა სნაიპერთა ცხრილს.

უკვე მომდევნო ტურის შემდეგ „ინტერმა“, უძლიერესი შემადგენლობის მიუხედავად ლიდერობა დაკარგა, წააგო გასვლითი მატჩი ვენეციაში — 0-1. ახლა 14 ქულით პირველ ადგილზე უკვე „ლაციომ“ გადაინაცვლა, რომელიც ბრწყინვალე კომბინაციურ, კოლექტიურ ფეხბურთს თამაშობს. როგორც შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა მოსწრებულად თქვა, „ჩემი საქმე იყო თავი მომეყარა პირველხარისხოვანი ოსტატებისათვის და შემდეგ მათთვის... ხელი არ შემეშალა“. „ლაციოს“ პრაქტიკულად სუსტი ადგილი არა აქვს. მან ვიერი კი დაკარგა, მაგრამ თავდასხმას ბევრი გოლი გააქვს. სვენ-გორან ერიქსონი ხშირად ცვლის შემადგენლობას, მას ხომ „გრძელი სკამი“ აქვს. ამასთან, მწვრთნელი ჩემპიონთა ლიგაზეც ფიქრობს. წინა ხაზზე ძირითადად სალასი და ბოკშიჩი თამაშობენ, რომელთაც ხშირად ცვლის ს. ინძაგი. შუა ხაზი მეტისმეტად ძლიერია. აი, სწორედ ამას ვერ დაიკვეხნის რომაელთა ერთ-ერთი მთავარი მეტოქე „ინტერი“. მარჩელო ლიპიმ სწორედ ნახევარმცველების თამაშის გაუმჯობესებაზე უნდა იზრუნოს. რომში „ლეჩესთან“ მატჩში (4-2) ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ „ლაციო“ რამდენიც უნდოდა, იმდენ გოლს გაიტანდა. კვირას, 31 ოქტომბერს „ლაციომ“ ფრედ — 1-1 დაამთავრა გასვლითი მატჩი „ინტერთან“ და 18 ქულით პირველი ადგილი შეინარჩუნა.

„იუვენტუსს“ ერთი საკმაოდ მოულოდნელი დამარცხება კი აქვს — 0-2 „ლეჩესთან“, მაგრამ 17 ქულით ინარჩუნებს მეორე ადგილს. მერვე ტურში მას საკუთარ მინდორზე ძალიან გაუჭირდა შეუპოვარ „პიაჩენცასთან“, მაგრამ მაინც მოიგო დელ პიეროს მიერ პენალტით გატანილი ერთადერთი ბურთით. ჯერჯერობით არასაკმარისი ეფექტურობით მოქმედებს დელ პიერო — ჯ. ინძაგის დუეტი. გუნდი აშკარად გადაურჩა მარცხს სტუმრად „რომასთან“, სადაც ფაბიო კაპელოს გუნდი განუწყვეტლივ უტევდა, მაგრამ მაინც წააგო მას შემდეგ, რაც ზიდანმა ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო და ამ სეზონში პირველი გოლი გაიტანა.

მესამე-მეოთხე ადგილებს ახლა 14-14 ქულით „მილანი“ და „ინტერი“ იყოფენ. „მილანის“ თავდასხმაში იცვლებიან ბირჰოფი, ვეა და შევჩენკო, ამასთან, უკრაინელი ფორვარდი, იტალიელი კომენტატორების აზრით, უკეთესად გამოიყურება, ვიდრე გაცილებით უფრო გამოცდილი მისი პარტნიორები. შევჩენკომ უკვე 7 გოლი გაიტანა, და, ამდენად, სნაიპერთა სიაში პირველ ადგილზეა. 3 მოგება და 5 ფრე, ცოტა არ იყოს, უჩვეულო შედეგია ჩემპიონისათვის. „მილანი“ ახლოს იყო მოგებასთან ვერონაში, მაგრამ მასპინძლები მშვენივრად მოთამაშე მეკარე ფრაიმ იხსნა. „ინტერს“ 4 მოგება და 2 წაგება აქვს — გუნდში აშკარად არასტაბილური მდგომარეობაა. 13 ქულით მეხუთეა „რომა“, რომლის მწვრთნელი კაპელო აშკარად უკმაყოფილო დარჩა ბოლო წუთზე ხელიდან გაშვებული მოგებით „სტადიო ოლიმპიკოზე“ აუტსაიდერ „კალიარისთან“ — 2-2.

ჯერჯერობით შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ამ ხუთ ლიდერზე, რომლებსაც ნელ-ნელა ეწევა შეუპოვარი „პარმა“ (12 ქულა).

რა არის მოსალოდნელი უახლოეს ხანებში? კვირას, 7 ნოემბერს გაიმართება მორიგი, მეცხრე ტური. „ლაციოს“ თითქოს რომში დიდი წინააღმდეგობა არ უნდა შეხვდეს „ვერონასთან“. „ინტერი“ ბოლონიაში თამაშობს, რომელსაც ახალი მწვრთნელი ჩაუდგა სათავეში — „უდინეზეს“ ყოფილი ხელმძღვანელი ფრანჩესკო გუიდოლინი, მან კი გუნდი უკვე გამოაფხიზლა. „მილანი“ „ვენეციას“ მიიღებს, „იუვენტუსს“ კი პირობითად გასვლითი მატჩი აქვს თანაქალაქელ „ტორინოსთან“. ისე კი, როგორც სხვა ყველა დერბის მონაწილეებს, მათაც ერთმანეთთან საკმაოდ რთული ურთიერთობა აქვთ. რაც შეეხება „პარმას“, მას გასვლითი მატჩი აქვს „პიაჩენცასთან“.

ექსპერტების აზრით, იტალიის ჩემპიონატი ჯერჯერობით ნამდვილად ყველაზე საინტერესოა ევროპაში.

გივი გამრეკელი

მარსელო სალასი

ჩემპიონთა ლიგა | დღეს წილისყრაა

A ჯგუფი

ლევერკუზენი – მარიბორი 0-0.

დინამო (კ) – ლაციო 0-1

გოლი: მამედოვი (18 წთ. საკ. კარში)

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ლაციო	6	4	2	0	13-3	14
დინამო	6	2	1	3	8-8	7
ლევერკუზენი	6	1	4	1	7-7	7
მარიბორი	6	1	1	4	2-12	4

B ჯგუფი

აიკ – არსენალი 2-3

გოლები: ოვერმარსი — 0-1 (17 წთ.), ა. ანდერსონი — 1-1 (41), ოვერმარსი — 1-2 (52), შუკერი — 1-3 (56), ანდერსონი — 2-3 (68).

ფიორენტინა – ბარსელონა 3-3.

გოლები: ბრესანი — 1-0 (14), ფიგუ — 1-1 (20), რივალდო — 1-2 (43), ბალბო — 2-2, 3-2 (56, 69), რივალდო — 3-3 (74).

ბარსელონა	6	4	2	0	19-9	14
ფიორენტინა	6	2	3	1	9-7	9
არსენალი	6	2	2	2	9-9	8
აიკ	6	0	1	5	4-16	1

C ჯგუფი

ბოავიშტა – დორტმუნდი 1-0

გოლი: პ. ემანუელი — 1-0 (16).

ფეიენოორდი – რუსენბორგი 1-0.

გოლი: სომალია — 1-0 (85).

რუსენბორგი	6	3	2	1	12-5	11
ფეიენოორდი	6	1	5	0	7-6	8
დორტმუნდი	6	1	3	2	7-9	6
ბოავიშტა	6	1	2	3	4-10	5

D ჯგუფი

მანჩესტერი – შტურმი 2-1.

გოლები: სოლსკიაერი — 1-0 (57), კინი — 2-0 (69), ვასტიჩი — 2-1 (88 პ.)

მარსელი – კროაცია 2-2.

გოლები: გუიჩინი — 0-1 (42), ბაკაიოკო — 1-1 (54), მიკიჩი — 1-2 (84), დივარა — 2-2 (89).

მანჩესტერი	6	4	1	1	9-4	13
მარსელი	6	3	1	2	10-8	10
შტურმი	6	2	0	4	5-12	6
კროაცია	6	1	2	3	7-7	5

E ჯგუფი

მიოლდე – რეალი 0-1

გოლი: კარამბუ — 0-1 (43).

ოლიმპიაკოსი – პორტუ 1-0.

გოლი: იანაკოპულოსი.

რეალი	6	4	1	1	15-7	13
პორტუ	6	4	0	2	9-6	12
ოლიმპიაკოსი	6	2	1	3	9-12	7
მიოლდე	6	1	0	5	6-14	3

F ჯგუფი

ბაიერნი – რეინჯერსი 1-0

გოლი: შტრუნცი — 1-0 (33 პ.)

ვალენსია – პსვ 1-0.

გოლი: კლაუდიო ლოპესი — 1-0 (70).

ვალენსია	6	3	3	0	8-4	12
ბაიერნი	6	2	3	1	7-6	9
რეინჯერსი	6	2	1	3	7-7	7
პსვ	6	1	1	4	5-10	4

G ჯგუფი

სპარტა – სპარტაკი 5-2

გოლები: ლოკვენცი — 1-0 (1), როსიკი — 2-0 (11), ბულატოვი — 1-2 (34), ბეზროდნი — 2-2 (45), ფუკალი — 3-2 (49), ლაზანტი — 4-2 (63 პ.), ლოკვენცი — 5-2 (66).

ტილბურგი – ბორდო 0-0.

სპარტა	6	3	3	0	14-6	12
ბორდო	6	3	3	0	7-4	12
სპარტაკი	6	1	2	3	9-12	5
ტილბურგი	6	0	2	4	7-15	1

H ჯგუფი

გალათასარაი – მილანი 3-2

გოლები: ვეა — 0-1 (20), კაპონე — 1-1 (27), ჯუნტი — 1-2 (51), ჰაქან შუქური — 2-2 (86), დავალა უმითი — 3-2 (90 პ.).

ჩელსი – ჰერტა 2-0

გოლები: დეშამპი — 1-0 (11), ფერერი — 2-0 (44).

ჩელსი	6	3	2	1	10-3	11
ჰერტა	6	2	2	2	7-10	8
გალათასარაი	6	2	1	3	10-13	7
მილანი	6	1	3	2	6-7	6

შენიშვნა: გათამაშების ცხრილებში მთავრული შრიფტით გამოყოფილია გუნდები, რომლებიც ტურნირის შემდგომ ეტაპში გავიდნენ.

ამრიგად, გამოვლინდა ის 16 გუნდი, რომელიც იასპარეზებს ჩემპიონთა ლიგის შემდგომ ეტაპზე. ესენია: ლაციო (იტალია), დინამო (კიევი, უკრაინა), ბარსელონა (ესპანეთი), ფიორენტინა (იტალია), რუსენბორგი (ნორვეგია), ფეიენოორდი (ჰოლანდია), მანჩესტერი (ინგლისი), მარსელი (საფრანგეთი), რეალი (ესპანეთი), პორტუ (პორტუგალია), ვალენსია (ესპანეთი), ბაიერნი (გერმანია), სპარტა (ჩეხეთი), ბორდო (საფრანგეთი), ჩელსი (ინგლისი), ჰერტა (გერმანია).

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირებში მე-3 ადგილზე გასული გუნდები იასპარეზებენ უეფას თასზე. ეს გუნდებია: ბაიერი (გერმანია); არსენალი (ინგლისი); ბორუსია (გერმანია); შტურმი (ავსტრია); ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი), რეინჯერსი (შოტლანდია); სპარტაკი (რუსეთი), გალათასარაი (თურქეთი).

დღეს, ჟენევაში

გაიმართება ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის შემდგომი ეტაპების წილისყრა. მეორე ეტაპის ჯგუფური ტურები შედგება 23 და 24 ნოემბერს, 7 და 8 დეკემბერს, 2000 წლის 29 თებერვალსა და 1 მარტს, 7 და 8 მარტს, 14 და 15 მარტს, 21 და 22 მარტს.

24 მარტს გაიმართება მეოთხედფინალური წყვილების წილისყრა. მეოთხედფინალები გაიმართება 4-5 და 18-19 აპრილს, ნახევარფინალები 2-3 და 9-10 მაისს, ხოლო ფინალი 24 მაისს.

უეფას თასი | მეორე ეტაპი II წრე

ვოლფსბურგი (გერმანია) – როდა (ჰოლანდია) 1-0

გოლი: აკონორი — 1-0 (87), პირველი მატჩი 0-0.

აეკ (საბერძნეთი) – მტკ (უნგრეთი) – 1-0

გოლი: ჩირიჩი — 1-0 (74 პ.), პირველი მატჩი — 1-2.

ბოლონია (იტალია) – ანდერლეხტი (ბელგია) 3-0

გოლები: ერიბერტო — 1-0 (45), ზე ელიასი — 2-0 (51), ნერვო — 3-0 (90). პირველი მატჩი — 1-2.

მონაკო (საფრანგეთი) – ვიძევი (პოლონეთი) 2-0.

გოლები: ლამუში — 1-0 (50), ტრეზეგე — 2-0 (84). პირველი მატჩი — 1-1.

თომას ჰესლერი – ფეხბურთის „ნურმი“

თავის დროზე გულშემატკივრებმა ჰესლერს დიდი სისწრაფისა და ამტანობისათვის „ნურმი“ * დაარქვეს. „ჩემს, სამი წლით უფროს ძმას – ანდრეასს მადარებდნენ, რომელიც ფეხბურთში დიდ იმედებს იძლეოდა, მაგრამ სისხლის გათეთრებისაგან გარდაიცვალა. სიმართლე გითხრათ, ჩვენს თამაშში ბევრ საერთოს ვერ ვხედავ. აი, უმცროსი ძმა – საშა კი, რომელიც აპირებს პროფესიონალი ფეხბურთელი გახდეს, აშკარად მაჯობებს“.

თომას ჰესლერი დაიბადა დასავლეთ ბერლინში, 1966 წლის 30 მაისს. ტანმორჩილია (167 სმ) და მსუბუქი (60 კგ). მამამისი ასევე ფეხბურთელი იყო და სამოყვარულო ლიგაში თამაშობდა. თომასმა თამაში 16 წლისამ დაიწყო „მეტეორ 06“-ში, შემდეგ „რაინიკედორფერ ფუქსენში“ გამოდიოდა. ახალგაზრდა ნახევარმცველს ყურადღება მიაქცია ცნობილმა მწვრთნელმა კრისტოფერ დაუმმა (დღეს რომ ლევერკუზენის „ბაიერს“ ხელმძღვანელობს), რომელმაც იგი „ფკ კიოლნში“ მიიწვია. ჰესლერი ძალიან მოსწონდათ ისეთ სპეციალისტებს, როგორნიც ჰანეს ლიორი და უდო ლატეკი არიან. დაიწყო, ასე ვთქვათ, ერთგვარი „გაწევ-გამოწევაც“. დაუმი აუცილებლად მიიჩნევდა, რომ ახალგაზრდა ნახევარმცველს სეულის ოლიმპიურ თამაშებზე უნდა მიეღო მონაწილეობა, ბეკენბაუერი კი ჰესლერს ეროვნულ ნაკრებში იწვევდა.

„ნურმიმ“ ერთიც მოახერხა და მეორეც. სეულის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და პირველ ნაკრებშიც დაიწყო თამაში. დებიუტი ფინეთის ნაკრებთან ჰქონდა მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში. ეს შეხვედრა ჰესლესმა, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალედ წარმართა“. ნაკრების ხელმძღვანელმა ფრანც ბეკენბაუერმა აღტაცებით თქვა: „ახლა ისეთი ფეხბურთელი გვყავს, რომლის თამაშიც სიხარულის გრძნობას მგვრის“, უკვე 1990 წელს, როცა ჰესლერს ეროვნულ ნაკრებში პირველი მატჩები ჰქონდა ნათამაშევი, გერმანულმა პრესამ ახალგაზრდა ოსტატი „მსოფლიო კლასის ფეხბურთელებს“ მიაკუთვნა. ასეთი დახასიათებები პერიოდულად ქვეყნდება ხოლმე ჟურნალ „კიკერში“. საინტერესოა, რომ მაშინვე კიდევ ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი ანდრეას მიოლერი მომდევნო, „საერთაშორისო კლასს“ მიაკუთვნეს. გერმანელი ექსპერტები ფიქრობდნენ, რომ ამიერიდან ეროვნულ ნაკრებს მეტისმეტად მობილური შუა ხაზი ეყოლებოდა, მრავალნაცად მათეუსს მხარში ჰესლერი და მიოლერი ამოუდგებოდნენ.

რაც შეეხება „კიოლნში“ თამაშს, აქ ჰესლერი ძალიან ემადლიერებოდა უფროს კოლეგებს. ფეხბურთელთა წრეებში ტონი შუმახერს სრულიად აუტანელი ადამიანის სახელი ჰქონდა, მაგრამ ჰესლერს უთხრა: „თუ რამე დაგჭირდეს, თუნდაც შუაღამე იყოს, დამირეკე“. „ნურმის“ ძალიან უყვარდა პიერ ლიტბარსკი: „ჩვენ რომ დაუვახლოვდით ერთმანეთს, ეროვნულ ნაკრებში 50 მატჩი ჰქონდა ჩატარებული. და აი, ეს მრავალნაცადი პროფესიონალი მრავალ საიდუმლოებას მიზიარებდა, რომელიც ჩემთვის, ჩემი ასაკის გამო, მიუწვდომელი იყო. როცა „ლიტი“ ჩემს მხარდამხარ თამაშობდა, სულ სხვანაირად, ლაღად ვგრძნობდი თავს. უნდა ითქვას, რომ ნაკრების ადრინდელი მწვრთნელი ბეკენბაუერი „ლიტისთან“ ყოველთვის მართალი არ იყო. მე უფრო კრისტოფერ დაუმისა მჯერა, რომელიც ლიტბარსკის მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებს მიაკუთვნებდა“.

ჰესლერი ჩინებულად თამაშობდა მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატში, 5 მატჩში მიიღო მონაწილეობა. „ნურმის“ გამძლეობა, შემართება, შეუპოვრობა პირდაპირ საარაკოდ იქცა. ზოგჯერ მას ტანმორჩილობის გამო „ჯიბის ნეტცერსაც“ უწოდებდნენ. მართლაც და, ჰესლერი ყველგან ასწრებდა, ხოლო მისი გარღვევები მარჯვენა ფრთიდან მეტისმეტად სახიფათო იყო.

ევროპის 1992 წლის ჩემპიონატში გერმანელთა უფერული თამაშის ფონზე ერთი ფეხბურთელის გამორჩევა მაინც შეიძლებოდა. ეს ჰესლერი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გავიხსენოთ მისი ბრწყინვალე ორი საჯარიმო დარტყმა. ერთმა, მეკარე ხარინის მარცხენა კუთხეში, თამაშის 90-ე წუთზე იხსნა გუნდი, მეორემ, მეკარე რაველის მარჯვენა კუთხეში, გუნდს შვედებთან გამარჯვება მოუტანა. ერთი სიტყვით, თუ გერმანელთაგან შეტევაში ვინმეს აღნიშვნა შეიძლებოდა, ეს, რა თქმა უნდა, დაუღალავი თომას ჰესლერი იყო. მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის შემდეგ ფოგტსსა და ჰესლერს შორის თითქოს შავმა კატამ გაიარა. შეიძლება აქ „ნურმის“ ასაკმა იმოქმედა, არც მთლად კრიტიკულმა, მაგრამ მაინც, მაინც... მას ძველებურად ყოველთვის იწვევდნენ ნაკრებში, მაგრამ ყოველთვის როდი ათამაშებდნენ. რაც შეეხება „კარლსრუეს“, აქ ჰესლერი კვლავინდებურად ლიდერი იყო და თუ კლუბს რაიმე წარმატება ჰქონდა, ამას ყველა, უპირველეს ყოვლისა, მისი კაპიტნის დამსახურებად თვლიდა.

„კარლსრუედან“ „ნურმი“ დორტმუნდის „ბორუსიაში“ გადავიდა, კარგა ხანს წარმატებით ითამაშა, სანამ კლუბს ახალგაზრდა მწვრთნელი მიხაელ სკიბე ჩაუდგა სათავეში. ჰესლერი მასზე სულ ერთი წლით უმცროსი იყო. იგი მწვრთნელს არ უჯერებდა და „ბავშვად“ თვლიდა, რა უნდა ესწავლებინა მისთვის, რომელმაც ეროვნულ ნაკრებში 97 მატჩი გამართა.

ახლა ჰესლერი ახალ კლუბში „მიუნხენ 1860“-ში გამოდის.

ბივი თორელი

---

* პაავო ნურმი, რომელთანაც შედარებულია თომას ჰესლერი, იყო ფინელი სტაიერი, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1924 წ. — 1500, 5000, 1920-28 წ.წ. 10 000 მეტრზე რბენაში).

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

„დემეტრაძე სნაიპერთა დავაში იმარჯვებს...

– ეს ჩვენი კიდევ ერთი მიღწევაა – ასე ფიქრობს „ალანიას“ მთავარი მწვრთნელი ვალერი გაზაევი. გიორგი დემეტრაძეს 21 გატანილი გოლი აქვს, მის მთავარ მეტოქეს – სპარტაკელ ტიხონოვს კი – 18. ბოლო, 30-ე ტურში, 8 ნოემბერს, მოსკოვში ერთმანეთს სწორედ „სპარტაკი“ და „ალანია“ შეხვდებიან. ისე რომ, ვნახოთ...

სადირინი „შინიკში“ იმუშავებს?

იაროსლავლის „შინიკმა“ რუსეთის უმაღლესი დივიზიონი კი დატოვა, მაგრამ კლუბის მესვეურები სულაც არ აპირებენ ფარ-ხმალის დაყრას. კერძოდ, ისინი აპირებენ ცნობილი სპეციალისტის, პაველ სადირინის მთავარ მწვრთნელად მიწვევას, რომელსაც უთავდება ხელშეკრულება ყაზანის „რუბინთან“, და, როგორც ადრეც განაცხადა, იქ დარჩენას აღარ აპირებს. ელიან, რომ სადირინი „შინიკში“ „რუბინის“ რამდენიმე წამყვან მოთამაშესაც მოიყვანს.

ეს ავადსახსენებელი ნანდროლონი

„ნაპოლის“ რუს ნახევარმცველ იგორ შალიმოვს იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ დოპინგის გამოყენების გამო ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა.

ახლა შალიმოვი ცდილობს თავის მართლებას და დისკვალიფიკაციის მოხსნას. მან შეისწავლა სამედიცინო არქივი და ამტკიცებს, რომ ეს ავადსახსენებელი წამალი, ნანდროლონი მოსკოვთან ახლოს კრასნოგორსკის სამხედრო ჰოსპიტალში, მეტად რთული დიაგნოზით მკურნალობისას, გაუკეთეს. საქმე ისაა, რომ ნანდროლონის კვალი ორგანიზმში მთელი წლის განმავლობაში დარჩება, შალიმოვი აპირებს იტალიაში დაბრუნებას და თავისი ინტერესისათვის ბრძოლას.

„ქართველების კლუბი“ მეხუთეა

დამთავრდა შეჯიბრება რუსეთის მეორე დივიზიონის „აღმოსავლეთის“ ჯგუფში. 65 ქულით პირველ ადგილზე ნოვოკუზნეცკის „მეტალურგი“ გამოვიდა, და გააგრძელებს ბრძოლას პირველ დივიზიონში გადასასვლელ გადამწყვეტ მატჩებში. გამარჯვებულს სულ ერთი ქულით ჩამორჩა ხაბაროვსკის სკა.

ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცი“, რომელსაც ქართველი მწვრთნელი სერგო ირემაშვილი უდგას სათავეში, 54 ქულით მეხუთეა. აქ რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი თამაშობს, მათ შორის 45 წლის მერაბ მეგრელაძე და ნუკრი მანაგაძე.

ამ მატჩის ნახვა უნდოდა... ნახევარ მილიონს!

წარსულში ცნობილ ფეხბურთელ ვალენტინ ნიკოლაევის აზრით, მოსკოვის „სპარტაკის“ უპირატესობა რუსეთის ჩემპიონატში სხვა გუნდებთან შედარებით ბევრს არაფერს ნიშნავს.

— დანარჩენი გუნდები კიდევ უფრო უარესად თამაშობენ. როცა კი „სპარტაკი“ საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩნდება ხოლმე, ნათელი ხდება – იგი ჯეროვნად არ არის დაკომპლექტებული. რუსეთის ჩემპიონს სუსტი დაცვა ჰყავს და სუსტი თავდასხმაც. მეკარეებიც ხშირად უმტყუნებენ ხოლმე. თუკი ჩვენს ჩემპიონს მართლა სურს საერთაშორისო კლასის გუნდად იქცეს, სეზონის წინ სატრანსფერო ბაზარზე სერიოზული მუშაობა უნდა ჩაატაროს. იცით, რამდენ მაყურებელს სურდა დასწრებოდა 1948 წლის „ოქროს მატჩს“ ცსკასა და მოსკოვის „დინამოს“ შორის? – დაახლოებით ნახევარ მილიონს! რამდენი მაყურებელი იყო ამავე გუნდების ამასწინანდელ მატჩში „დინამოს“ სტადიონზე? – დაახლოებით 22 ათასი.

რას აპირებს „სპარტაკი“?

ამ სეზონით უკმაყოფილო მოსკოვის „სპარტაკი“ გაისიდან გუნდის მკვეთრ გაძლიერებას აპირებს. უკვე დადგენილია, ვისთან უნდა ჩაატარონ სელექციური მუშაობა. როგორც მეორე მწვრთნელი ვიაჩესლავ გროზნი ამბობს, „ჩვენი დევიზია: თითოეულ პოზიციაზე — ორი თანაბარი ძალის მოთამაშე“.

კანდაუროვი რუსეთიდან – უკრაინაში

უკრაინის პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი ციურიხში, ფიფას შტაბბინაში ეწვია ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელ იოზეფ ბლატერს. გადაწყდა რუს ფეხბურთელ სერგეი კანდაუროვის საკითხი, რომელიც ლისაბონის „ბენფიკაში“ გამოდის. მან ამიერიდან ოფიციალურად მიიღო უფლება ითამაშოს უკრაინის სახელით.

ჰუსაინოვი დაისაჯა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, რუსი მსაჯების ბრიგადა, რომელსაც სერგეი ჰუსაინოვი ხელმძღვანელობდა, უეფამ ჩამოაცილა „ჰაპოელისა“ (ისრაელი) და „ბრიუგეს“ (ბელგია) შეხვედრას.

და აი, უეფას სამსაჯო კომიტეტმა უკვე ოფიციალური გადაწყვეტილება მიიღო. ამიერიდან ჰუსაინოვსა და მის ბრიგადას უკვე აღარ ანდობენ ევროპული შეხვედრების მსაჯობას. რაც შეეხება რუსულ მატჩებში მსაჯობას, აქ ჰუსაინოვის საკითხი გაირკვევა 10 ნოემბერს, როცა იგი (რუსეთის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე) რუსეთის ფეხბურთელთა კავშირის აღმასკომის სხდომაზე გააკეთებს ამ სეზონში თავისი მუშაობის ანგარიშს.

რა ხდება ქვეყანაზე

პირველამსვლელის საიუბილეოდ

თავისი 80 წლის იუბილე აღნიშნა მწვერვალ-ევერესტის პირველმა დამპყრობმა. ედმუნდ ჰილარის საპატივცემულო ზეიმი გაიმართა ახალი ზელანდიის მთავრობის სახლში, ველინგტონში. ჰილარის ასვლიდან 46 წლის განმავლობაში ასობით გაბედული იმსხვერპლა „დიდმა მწვერვალმა" (8.848 მ.). ალბათ მათი ხსოვნის აღსანიშნავად, იუბილარმა სიამოვნებით ჩაასო დანა (იხ. ფოტო) მწვერვალის გამოსახულებიან ტორტში, რომელსაც საკმაოდ კადნიერი წარწერა ამშვენებდა: „ჩვენ დავიპყარით ეს არამზადა".

"KNOCKED THE BASTARD OFF
HAPPY BIRTHDAY ED!

პოლიტიკოსი ღონიერი უნდა იყოს

საკმაოდ მწვავე ბატალიების მოგერიება უხდება საპარლამენტო სხდომებზე ისრაელის კნესეტის თავმჯდომარეს, რომელმაც კარგად იცის თუ რა ნერვულ და ფიზიკურ დაძაბულობასთანაა დაკავშირებული, რომ დააოკოს აბობოქრებული დეპუტატების ვნებათა ღელვა. ამიტომ სპიკერი აბრამ ბურგი ცდილობს შეინარჩუნოს სპორტული ფორმა და იურუსალიმში გამართულ სპორტულ ზეიმზე ცხადჰყო, რამდენად მარჯვედ ფლობს კალათბურთის ბურთს.

მარია სტიუარტის „ნახელავი" ბურთი 430 წლისაა

ყველაზე უძველესი ფეხბურთის ბურთი, რომელიც, არ არის გამორიცხული, რომ თვით მარია სტიუარტს ეკავა ხელში, წარმოდგენილი იყო როგორც უიშვიათესი სპორტული ექსპონატი შოტლანდიის შუასაუკუნოვან დედაქალაქ სტირლინგში (იხ. ფოტო). მეცნიერებმა სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს იგი ციხე-დარბაზის საცავებში. ექსპერტების მტკიცებით, პირველი ფეხბურთის ბურთი, რომელიც გაკეთებულია ღორის საშარდე ბუშტისაგან, არანაკლებ 430 წლისაა. ნაპოვნია შოტლანდიის დედოფლის სავანეში. იქ უნდა აღმოჩენილიყო მას შემდეგ, რაც მარია ტახტიდან გადადგა. არსებული წესით, დედოფალი ციხე-სიმაგრის პარმაღის მინდორზე შეაგდებდა ბურთს, სადაც დღესასწაულებზე იმართებოდა რაინდთა ტურნირები და ასპარეზობები სამეფო გვარდიის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის.

ნბა-მ ახალი სეზონი დაიწყო



ნბა-ს მორიგი 54-ე რეგულარული სეზონი არა მხოლოდ გადაბალისებული შემადგენლობებით დაიწყეს პროფესიონალთა გუნდებმა, არამედ თამაშის ახალი წესებითაც, რომლის თანახმად განსაკუთრებით გამკაცრდა მსაჯობა და არბიტრებმა პირველსავე მატჩებში, ისარგებლეს რა ახალი უფლებებით, დარღვევების სარეკორდო რაოდენობა დააფიქსირეს.

შედეგები: მაიამი — დეტროიტი — 128:122; სიეტლი — კლიპერსი — 104:92; ლეიკერსი — იუტა — 90:84; ინდიანა — ნიუჯერსი — 119:112; ფენიქსი — დენვერი — 102:107; ატლანტა — ვაშინგტონი — 87:94; ორლანდო — შარლოტა 86:100; ბოსტონი — ტორონტო — 84:67; გოლდენ სტეიტი — დალასი — 96:108; მილუოკი — ჰიუსტონი — 98:93; პორტლენდი — ვანკუვერი — 106:86; კლივლენდი — ნიუ-იორკი 84:92; ფილადელფია — სან ანტონიო — 76:89.

ახალი ამბების ესტაფეტა

სამპრასი ისევ კორტზეა

2 მილიონ 500 ათასი დოლარია საპრიზო ფონდი პარიზის საჩოგბურთო საერთაშორისო ტურნირისა, რომელმაც ამ დღეებში აიღო სტარტი. მოპაექრეთა კოჰორტაც ღირსეულია: სამპრასი, კაფელნიკოვი, კუერტენი, ენკვისტი, ჰიუიტი და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ტურნირში ამერიკელი პიტ სამპრასის მონაწილეობამ, რომელსაც უკვე რამდენიმე თვეა, ტრავმის გამო, შეჯიბრებებში აღარ უასპარეზია. ახლა თავისი პირველივე შეხვედრა სამპრასმა გამარჯვებით დაასრულა ნაკლებადცნობილ ფრანსისკო კლავერთან.

მუჰამედ ალის ასული თავისას არ იშლის

აპრილის შემდეგ, ლეგენდარული მოკრივის მუჰამედ ალის ქალიშვილმა ლაილამ გასულ თვეში მეორე ბრძოლა ჩაატარა პროფესიულ რინგზე და მამის წინააღმდეგობის მიუხედავად, ახლა მესამე ბრძოლისთვის ემზადება. რაკი შვილი თავისას არ იშლის, ალი იძულებულია დაესწროს ორთაბრძოლებს და სიტყვაც შეაწიოს 21 წლის ქალიშვილს, რომელმაც შარშან გაანება თავი შოუბიზნესში მონაწილეობას და მომავალი ბედი, მამის მსგავსად, პროფესიულ კრივს დაუკავშირა. თუ რა გამოვა აქედან, დრო გვიჩვენებს.

ტაისონი კი ისევ შარში გაეხვია



როგორც ვიუწყდებოდით, მაიკ ტაისონმა ციხიდან გამოსვლის შემდეგ, კვლავ რინგს მიაშურა, მაგრამ პირველსავე ცდაზე გაეხვია შარში – გონგის შემდეგ დაარტყა მეტოქეს ყბაში და მოტეხა... მუხლი.

ნევადის კრივის კომისიამ განიხილა ეს არაორდინარული შემთხვევა და ტაისონს უფლება დართეს მიიღოს კუთვნილი ჰონორარი 8 მლნ 700 ათასი დოლარი. ადრე კი გამოცხადდა, რომ თითქოს მეტოქეს, ნირისს უნდა მიეღო კუთვნილი ჰონორარი, ტაისონი კი „მშრალზე" რჩებოდა. სამაგიეროდ, იმ „ცხელ გულზე" რინგზე გამოსვლის უფლება შეუნარჩუნეს ტაისონს. ახლა პირიქითაა, ეს უფლება დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ, ფულს კი, როგორც ნახეთ, ტაისონიც მიიღებს. „არა, რინგზე გამოსვლას მაიკს არ ვუკრძალავთ, მაგრამ ჯერ არც დასტური მიგვიცია, ვნახოთ, როგორ მოიქცევა", – აცხადებენ მსაჯულები.

საჭადრაკო მერიდიანი

უძლიერესი მოჭადრაკე ქალები — ვეტერანები

ესპანეთის ქალაქ მარბელიაში მიმდინარეობს ტრადიციული ყოველწლიური მატჩ-ტურნირი მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალებსა და გამოჩენილ ვეტერან დიდოსტატებს შორის. თითოეულ გუნდში 5-5 წევრია: ქალები – მსოფლიო ჩემპიონი სიე ჯუნი (ჩინეთი), კიდევ ერთი ჩინელი, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი გოგონებს შორის ჯუ ჩენი, მსოფლიოს ექსჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, მსოფლიო პირველობაზე წლევანდელი მატჩის მონაწილე ალისა გალიამოვა (რუსეთი) და ცნობილი შვედი მოჭადრაკე პია კრამლინგი. ვაჟები – მსოფლიოს ექსჩემპიონები ვასილი სმისლოვი (რუსეთი) და ბორის სპასკი (საფრანგეთი), ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), ლაიოშ პორტიში (უნგრეთი) და ვლასტიმილ ჰორტი (გერმანია).

მატჩ-ტურნირი მეტად შეუპოვარ ბრძოლაში მიმდინარეობს. ცხრა ტურის შემდეგ წინ იყვნენ სენიორები – 28:17. მაია ჩიბურდანიძემ შეძლო თეთრებით სმისლოვის დამარცხება, კორჩნოისთან შავებით პარტია კი ყაიმით დაასრულა და იგივე შედეგს მიაღწია თეთრებით სპასკისთან.

კარპოვი, რა თქმა უნდა, ის აღარ არის

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ანატოლი კარპოვი (რუსეთი), ბევრ ტურნირში კი თამაშობს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის კარპოვი აღარ არის.

ჰოლანდიის ქალაქ ჰოგივენში დამთავრდა „ოთხთა მატჩ-ტურნირი" (ორ წრედ), რომელშიც კარპოვის გარდა, მონაწილეობდნენ გამოჩენილი ჰოლანდიელი დიდოსტატი იან ტიმანი, უძლიერესი ქალი დიდოსტატი იუდით პოლგარი და შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკებს შორის დერმენ სადვაკასოვი (ყაზახეთი).

3,5-3,5 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ტიმანმა და პოლგარმა, უკეთესი დამატებითი მონაცემებით პირველი პრიზი ტიმანს მიეკუთვნა (რომელმაც ამას წინათ საჩვენებელ მატჩში გარი კასპაროვსაც მოუგო). 3 ქულით მესამეა კარპოვი (ერთი პარტია წააგო ტიმანთან, მეორე კი ყაიმით დაასრულა), 2 ქულა მოაგროვა სადვაკასოვმა.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



5 ნოემბერი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. რაგბი. მსოფლიო თასი (17.30), II არხი. რაგბის მოყვარულთათვის (20.00). ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის II ეტაპის წილისყრა (19.20), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.15, 20.50), ***კავკასია.*** „სპორტი, სპორტი სპორტი" (17.40), „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგის წილისყრა, პირდაპირი რეპორტაჟი (14.50); ჰოლანდიის (15.20, 21,05), შოტლანდიის (19.25), გერმანიის (22.55), შოტლანდიის (0.55) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***ESPN.*** ფეხბურთი: ჰოლანდიის (8.00), იტალიის (10.00), ესპანეთის (16.00) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ჩემპიონთა ლიგა: პერტა – ჩელსი (16.30), რუსენბორგი – ფეიენოორდი (20.30), კროაცია – მარსელი (22.30). ***EUROSPORT.*** ველორბოლა, საგზატკეცილო (11.30), რაგბი. მსოფლიო თასი (13.00, 2.15), უეფას თასი (14.30), ჩემპიონთა ლიგა (1.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (4.15).

6 ნოემბერი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „სტადიონი" (19.00), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.10), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.15, 21.00), ***კავკასია.*** „სპორტი, სპორტი, სპორტი" (18.10), „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.15, 18.25), შოტლანდიის (15.00), ჰოლანდიის (16.40), იტალიის ან ესპანეთის (23.25) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ტაიკვანდო. მსოფლიო ჩემპიონატი (17.50). ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (19.00), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.30), ერთ-ერთი მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი (23.25). ***EUROSPORT.*** ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.00), ჩემპიონთა ლიგა (17.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (18.00, 1.45, 4.00), რაგბი. მსოფლიო თასი (18.15), ცხენოსნობა – ირლანდიიდან (23.45).

7 ნოემბერი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი „თბილისი" – „დინამო" (თბ) – 16.00 (II ტაიმი), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.40), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.15), ***კავკასია.*** ფეხბურთის ლეგენდები (18.10), „ვარსკვლავები" (21.00), ***НТВ плюс футбол.*** იტალიის (13.15, 23, 35 – პირდაპირი რეპორტაჟი), ესპანეთის (15.00), შოტლანდიის (16.55), საფრანგეთის (19.15), ინგლისის: უიმბლდონი – ლიდსი (19.55), ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ტაიკვანდო. მსოფლიო ჩემპიონატი (20.10), ***ESPN.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: შტურმი – მანჩესტერ იუნაიტედი (4.30), არსენალი – აიკ (10.30), პორტუ – ოლიმპიაკოსი (12.30), ბორუსია – ბოავიშტა (0.00), მარიბორი – ბაიერი (2.00). იტალიის (6.30), ესპანეთის (9.30), ინგლისის (14.20, ლიდს იუნაიტედი – უიმბლდონი (19.50) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები (12.30), ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.00), რაგბი. მსოფლიო თასი (17.45), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (19.15, 1.45, 4.15).

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო და საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ვეტერან ფალავანს, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს, საქართველოს ნაკრები გუნდის უცვლელ კაპიტანს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს თამაზ მაჭავარიანს გარდაეცვალა მამა

მახტანგ მაჭავარიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

დაკრძალვა შაბათს, 6.X, ჭავჭავაძის, 11.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ვეტერან ფალავანს თამაზ მაჭავარიანს მამის

მახტანგ მაჭავარიანის

გარდაცვალების გამო.

საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი

(სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

კროსვორდი



თარაზულად: 7. ლიბერიელი ლეგიონერი „მილანში", 9. გერმანელი ფეხბურთელი „გლაზგო რეინჯერსში", 10. გაგერმანელებული სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი, 13. ცნობილი პროფესიონალი მოკრივე, 14. საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე საფეხბურთო გუნდი, 18. იაპონიაში მოთამაშე ბრაზილიელი ფეხბურთელი, 19. პოპულარული ჩეხური სპორტული ჟურნალი, 21. კვიპროსის საფეხბურთო გუნდი, 22. სპორტსმენთა შეკრებების ადგილი გაგრასთან ახლოს, 23. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 24. პროფესიონალი ქართველი მოკრივე, 25. ქართული ორთაბრძოლების ასოციაცია, 27. მოკრივეთა არენა, 29. ვეტერანი ქართველი კალათბურთელი, 31. „ინტერის" ფრანგი ლეგიონერი, 32. რბენა მოკლე მანძილზე, 34. ტანვარჯიშული ინვენტარი.

შვეულად: 1. საქართველოს მორაგბეთა გუნდი, 2. პროფესიონალი ლეგენდარული მოკრივე, 3. რუსი სპორტული კომენტატორი, 4. ბილიარდის ჯოხი, 5. ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი ქალი, 6. საჭადრაკო ფიგურა, 7. ესპანური საფეხბურთო კლუბი ჩემპიონთა ლიგაში, 8. ჩელსის იტალიელი ლეგიონერი, 11. ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი მჩ (1958), 12. პროფესიონალი მოკრივე, 15. ვეტერანი ქართველი ფალავანი, 16. წარსულში თბილისის „დინამოს" უძლიერესი ნახევარმცველი — ფეხბურთელი, 17. წარსულში ცნობილი ქართველი წყალბურთელი, 20. წარსულში ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 22. ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე ქალი, 26. ცხენით მოჭენილი მოძრაობა, 28. რაუნდის დაწყება-დამთავრების მაუწყებელი, 30. შენიშვნა, ჯარიმა, გაფრთხილება, 31. „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი — ფეხბურთელი, 33. შავკანიანი ფრანგი ვეტერანი ჩოგბურთელი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 2. ეკიპი. 4. გურია. 12. ტრაპატონი. 14. ზაილერი. 15. ანდრადე. 16. ფორმენი. 18. ავგუსტო. 20. უბილავა. 22. ბილარდო. 24. ოსასუნა. 26. ანტსონი. 27. იუვენტუსი. 31. ირანი. 32. მიაკე. **შვეულად:** 3. ილგნერი. 5. როდნინა. 8. კემპესი. 9. სანტანა. 10. კოზმა. 11. ილეთი. 12. ტრამპლინი. 13. ინდურაინი. 19. ფეოლა. 21. ალბერტი. 22. ბლატერი. 23. დეინა. 25. ავსტრია. 26. ასტურია. **დიაგონალურად:** 1-17 ტარანტინი. 18-7. აბაიშვილი. 10-2. კურიე. 6-11. აზიზი. 30-21. ოლიმპიადა. 22-34. ბრაიტნერი. 28-31. არისი. 33-29 ერერა.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ნიდამონიძე.